პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 45-ე წელი. № 130 (12946) | პარასკევი, 5 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ჩვენი ქვეყნის მინდვრებში

საგაზაფხულო კულტურებით მოითესა 134 მილიონ ჰექტარზე მეტი. ხორბლის თესვის გეგმა 104 პროცენტით შესრულდა.

დადგა ზაფხული. მცხუნვარე მზე სხივებს აფრქვევს ჩვენი სამშობლოს მინდვრებს. მაგრამ მაისში მზეს ხშირად ფარავდა ღრუბელი. ხშირი წვიმები მხვნელ-მთესველთა მუშაობას ართულებდა. ამავე დროს ამ წვიმებმა კარგი გავლენა მოახდინეს ნათესების აღმოცენებასა და განვითარებაზე.

ჩვენი ქვეყნის მინდვრის მშრომელები ზაფხულს დიდი სასიხარულო გამარჯვებით ხვდებიან. საბაზაფხულო ხორბლის თესვის გეგმა 104 პროცენტით შესრულდა. ძვირფასი სასურსათო კულტურა მაისის ბოლოს დათესა 47,8 მილიონ ჰექტარზე. გეგმა გადაჭარბებით შესრულეს რუსეთის ფედერაციამ და უკბასეთმა, სადაც თავმოყრილია ამ კულტურის ძირითადი რაიონები. საადრეო ნათესებში კარგი აღმონაცენია. (საკდესი).

შვიდწლედის ვახტზე

□ ქუთაისი. (საკ. კორ.). ბამბეულის საქსოვი ფაბრიკა, რომელიც შვიდწლედის პირმშოა, მტკიცედ ჩადგა ქალაქის მოწინავე საწარმოთა რიგებში. ფეიერვერმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე — ხუთ თვეში შეასრულეს ნახევარი წლის დავალება. ექვსი თვის გეგმის ზევით გამოშვებულია 35.000 მანეთის პროდუქცია.

ფაბრიკა ფართოვდება, ახალი ტექნიკით აღიჭურვება. მიმდინარე წელს აქ დაიდგა 100 ავტომატური საქსოვი დაზგა, დამონტაჟდა ახალი სახვევი და საქსელე ავტომატები, სამღებრო და გამომყვანი აგრეგატები. ფეიერვერმა წელს 10 ახალი სახის დეკორაციული ქსოვილის წარმოება აითვისეს.

მქსოველთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ვ. ცაგარეიშვილი უძღვება, მაისის დავალება 128 პროცენტით გაანაღდა, ამასთან ნეგმით გათვალისწინებული 70 პროცენტის ნაცვლად 75 პროცენტამდე აიყვანა პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვება.

□ ჭიათურა. (საკ. კორ.). ახალი ითხვისის მაღარო ერთ-ერთი მძლავრი და მექანიზებული საწარმოა მარგანეცის ქალაქში. აქ ზრუნავენ სამთო ტექნიკის დანერგვა-ათვისებისათვის. მარგანეცის ტრესტის ახალი ტექნიკის განყოფილებამ მაღაროელებთან მჭიდრო თანამეგობრობით მერეკ საწარმოო უბანში გამოსცადა ახალი კონსტრუქციის საბურღი მექანიზმი. მას აქვს ორი ბურღი, რომლებიც ერთდროულად მუშაობს და სანგრევს ღრმა შპურებით ბურღავს. ამ ახალ მექანიზმებზე მუშაობა წარმატებით აითვისა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ნოვატორი მბურღავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ბაქრაძე ხელმძღვანელობს. ეს მექანიზმი ორჯერ ზრდის მადნის მონგრევას, აჩქარებს სანგრევის წინსვლას.

აქვე ნაყოფიერად მუშაობს მძლავრი ელექტროდამტვირთავი მანქანა, რომლის წარმადობა საათში 60 კუბმეტრს უტრის. ეს მანქანა იმითაც გამოირჩევა, რომ ვაგონებში დატვირთულ მადანს თვითონ ასწორებს და ხელით შრომას გამორიცხავს. ძველ მანქანასთან შედარებით ახალი მექანიზმი ორჯერ ზრდის ნაყოფიერებას. ახალი მძლავრი სამთო მექანიზმები ყველა უბანში ინერგება.

□ ერთ წელზე მეტია, რაც ტყვარჩელელი მეშახტეები ლუგანსკელთა მგალითისამებრ ჩაებნენ ლაშქრობაში ცვლის დავალების ერთი საათით ადრე შესრულებისათვის. ასე ჩაეყარა საფუძველი მოძრაობას „ტყვარჩელის საათისათვის". მისი პირველი ინიციატორები მესამე შახტის მაღაროელები არიან.

ახლა ამ შახტში არიან ისეთი ბრიგადები, რომელთა წევრები არა მარტო ერთი საათით, არამედ ორი საათით ადრე ანაღდებენ ცვლის ნორმას, გეგმის ზევით ანგრევენ ათობით ტონა „შავ ოქროს", გაქაფილ სანგრევი ხაზი. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნიკოლოზ ჯახაია, ირიდინ აფშილავა, იაკობ გაზდელიანის, მიხეილ სმენოვის და სხვათა კომუნისტური შრომის კომპლექსური ბრიგადები.

„ტყვარჩელის საათისათვის" ლაშქრობაში აქტიურად მონაწილეობენ პირველი, მეორე, მეხუთე და მეექვსე შახტების მეშახტეები. მაგალითად, მეორე შახტის პირველი უბნის მიხეილ ბიგვავას ბრიგადამ ოთხ თვეში ექვსი თვის დავალება შეასრულა, ხოლო მეექვსე შახტის მეოთხე უბნის ინდიკო გოგოხიას მნგრეველთა ბრიგადამ ვადამდე 20 დღით ადრე შეასრულა 5 თვის დავალება, გეგმის ზევით ამოიღო ერთი ეშელონი მაღალხარისხოვანი ქვანახშირი.

„ტყვარჩელის საათისათვის" ლაშქრობა გრძელდება...

(„კომუნისტის" კორ.).

ზაფხული გვიხმობს

ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დასვენებას ისეთივე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორც თვით შრომას. ნაყოფიერი შრომის შემდეგ აუცილებელია შინაარსიანი დასვენება, კარგი დასვენების შემდეგ სახალისო და სასიამოვნო შრომა. შრომისა და დასვენების ეს რიტმული მონაცვლეობა ქმნის ჩვენი ცხოვრების მთელ შინაარსს. საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში — კონსტიტუციაში გარკვევით არის აღნიშნული, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანი შრომის უფლების თანაბრად სარგებლობს დასვენების უფლებით.

ძალაში შევიდა ზაფხული — დასვენების საუკეთესო პერიოდი. ზეიმობს, ხარობს ბუნება, და შეუძლებელია ეს სიხარული არ გაიზიაროს ადამიანმა — ბუნების მეუფემ და მბრძანებელმა. თავისკენ გვიხმობენ და გვეძახიან მზითა და სიმწვანით სავსე მთები და ველები, უნები და სათიბები, ზღვები და მდინარეები, და ჩვენც მივილტვით და მივისწრაფვით ბუნების წიაღისაკენ, რათა ხან მცხუნვარე მზეს შევუშვიროთ მხრები, ხან შხაპუნა წვიმას. მერე და განა ჩვენში დასასვენებელი ადგილი საძებარია? საქართველო ხომ კუროორტების მხარეა. მისი მრავალფეროვანი ბუნების პეიზაჟები მარად ახალი და განუმეორებელია. აქ ყველგან ღიაა ბუნების კარი. აქ ყოველ ბორცვთან, ყოველ გადასახვევში, ყოველ ხესთან შეგიძლია მოძებნო ადგილი, სადაც გულსა და სულს დაიმშვიდებ და დაიამებ. და რაოდენ სწუენია, როცა გრძნობ, რომ ყოველთვის ჯეროვნად ვერ ვიყენებთ ამ მდიდარ შესაძლებლობას — დავტკბეთ ბუნების ამ სილამაზით, სიმშვენიერით.

ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია. საბჭოთა სახელმწიფო არ იშურებს სახსრებს ადამიანებისათვის, მათი ჯანმრთელობის დაცვისათვის, დასვენებისათვის. საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 70 ათასზე მეტი კაცი — სამედიცინო და სამეურნეო პერსონალი, მათ შორის 13 ათასი მარტო ექიმი. საქვეყნოდ განძვალული ჩვენი რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერები, კურორტები. უკვე კარგახანია გაჩაღდა საკურორტო სეზონი. წელს საქართველოს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ორგანიზებული წესით დაისვენებს 280 ათასამდე კაცი. ათეულ ათასობით ჩამოდის ეგრეთწოდებული არაორგანიზებული დამსვენებელი.

შვებულების შინაარსიანად გამოყენება, სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში ჯანმრთელობის გაკაჟება, ცხადია, კარგი საქმეა. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს დასვენებას ყოველდღიური შრომის შუალედებში, და ზაფხულის უპირატესობა ამ შემთხვევაშიც უდავოა. ზაფხულში გზა თითქოს უფრო ფართოა, მანძილი მოკლე და ბუნების წიაღში გასეირნების სურვილი ხელმისაწვდომი. ოღონდ ამ საქმეშიც ინიციატივა, თაოსნობაა საჭირო. სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს პროფკავშირული, კომკავშირული, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი. ისინი სისტემატურად უნდა აწყობდნენ ქალაქგარეთ ორგანიზებულ გასვლას, ექსკურსიებსა და ტურისტულ ლაშქრობებს, სპორტულ შეჯიბრებებს, თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლებს.

ადამიანის დასვენების ორგანიზაცია ისეთსავე ზრუნვასა და ყურადღებას მოითხოვს, როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა. მუდამ უნდა გვახსოვდეს: იმაზე, თუ რამდენად კარგად, გონივრულად მოვაწყობთ მშრომელთა დასვენებას, ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი შემდგომი შემოქმედებითი ძალების ზრდა.

ამხანაგო მეჩაიეებო! საშუალო თქვენგან მოელის ახალ საგმირო საქმეებს — შვიდწლედი შევასრულოთ ექვს წელიწადში!

დიდი წარმატება

ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ს. ებრალიძემ** გუშინ რედაქციას სასიხარულო ცნობა გადმოსცა ჩაის მკრეფავ მექანიზატორთა დიდი წარმატების შესახებ.

თუ შარშან ერთი მანქანით მოკრეფილი 2.000 კილოგრამი გარკვეული წარმატება იყო, წელს ამ მაჩვენებელს უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბეს. მექანიზატორმა **სერგო ლოლუამ** 1 ივნისს მოკრიფა 2.081 კილოგრამი „მწვანე ოქრო", **სერგო აფხაზავამ** 2 ივნისს — 2.608 კილოგრამი, **გურამ შედანიამ** — 2.161 კილოგრამი.

3 ივნისს ყველას გაუსწრო მექანიზატორმა **კ. სიჭინავამ.** მან მოკრიფა 3.300 კილოგრამი ჩაის ნედლეული და კრეფის რეკორდი დაამყარა. 2.000-2.030 კილოგრამს კრეფენ ყოველდღიურად **გიორგი ყურუა, ილია შულაია, გურამ გუგუცია, ჯუმბერ ბერულავა, ბორის ბოგვერაძე, რეზო ქუთათელაძე.**

4 ივნისისათვის მეურნეობაში მანქანებით მოკრეფილია 260 ტონა ჩაის ფოთოლი, შარშან ამავე პერიოდში მოკრეფილი იყო 230 ტონა. კრეფის ტემპი ძლიერდება. მექანიზატორებმა ვალდებულება იკისრეს მაის-ივნისის დავალება 15 ივნისისათვის შეასრულონ.

ვანიხუთის რაიონში ერთ-ერთი დიდი მეურნეობაა სოფელ **ბანბათის** ყოდანოვის სახელობის სახოფლო-სამეურნეო არტელი. აქაურმა მეჩაიეებმა პირობა დადეს წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 480 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მეტი ჩაისათვის ლაშქრობაში გაოკეული წვლილი შეაქვთ სოფლის მოსწავლეებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეათე კლასის ფრიადოსანი მოსწავლის **ქეთევან მეტავანაძის** მუშაობა. ეს გოგონა იმისათვის იბრძვის, რომ სეზონში მოკრიფოს 4 ტონა „მწვანე ოქრო", რაც შარშან მოკრეფილზე 800 კილოგრამით მეტია.

სურათზე: მოსწავლე მეჩაიე ქ. მეტავანაძე.

ფოტო ი. ნანეიშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მახლობელი მეჩაიეები

200.000 ტონა ჩაისათვის!

ჩვენს სოფელში დიდი ყურადღება ექცევა ჩაის კალანტაციების მოვლა-პატრონობას, მოსავლიანობის გადიდებას. წლის დასაწყისიდანვე ბაჩალეულმა შეჯიბრებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. მასობრივად შემოვიდა ზეთოოელი.

მოწინავე მეჩაიეები **გ. მორჩილაძე, ხ. კოპახიძე, მ. ლორთქიფანიძე** ყოველდღიურად 45-47 კილოგრამ ფოთოლს კრეფენ და დავალებას ორმაგად ასრულებენ. ყველას მაინც მრავალშვილიანმა დედამ ა. **გუთიძემ** აჯობა; მას გადაწყვეტილი აქვს მოკრიფოს 5,5 ტონა ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრიფა 400 კილოგრამზე მეტი.

— მივცეთ სამშობლოს 80 ტონა ზეგეგმითი ჩაის ფოთოლი! ასეთია მახლობელ მეჩაიეთა გადაწყვეტილება.

ლ. მჟედლიშვილი,

ქობულეთის საწარმოო სამმართველოს მახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ჩაი ხაროგს ეწერში

საჩხერის რაიონში ჩაი ახალი კულტურაა. იგი პირველად ჩვენს სოფელ ეწერში გავაშენეთ. კოლმეურნეები პლანტაციებს მზრუნველობით ვუვლიდთ.

მოსავლელად გამოყოფილი მაქვს 0,2 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. წელს ჩემი ნაკვეთი კარგად დავამუშავე. სასუქები შევიტანე. მოსავალიც უკეთესია. წელს 1.500 კილოგრამ პირველი ხარისხის ფოთოლს მოვკრეფ. უკვე მოკრეფილი მაქვს 300 კილოგრამზე მეტი.

თ. სალარიძე,

საჩხერის საწარმოო სამმართველოს სოფელ ეწერის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე.

მეჩაიეთა ახალი სახელები

გეგეჭკორის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, — გვაცნობა პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **ნ. ჩხოლარიამ,** — მაისის უკანასკნელ ხუთდღიურში მოკრეფილ 1.150 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, ანუ დღეში 200 ტონაზე მეტი. ასეთი ოდენობით არასოდეს არ მოკრეფილა ჩაის ფოთოლი. 4 ივნისისათვის რაიონში სულ მოკრეფილი იყო 2.800 ტონა. მარტო გუშინ მოიკრიფა 150 ტონა.

ქების ღირსია **ვედიდპარის** მუხურჩის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც აპრილ-მაისის დავალება 102 პროცენტით შეასრულა, **ონოდიის** კოლმეურნეობამ — 103 პროცენტით, **ბაბადილის** კოლმეურნეობა „ავანგარდმა" — 100 პროცენტით. **ლეხაინდრარას** კოლმეურნეობამ მაისის ბოლომდე 150 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. აღსანიშნავია, რომ წინათ ჩამორჩენილი კოლმეურნეობები წელს დაწინაურდნენ. **ესეიეთის** კოლმეურნეობამ მაისის დავალება 153 პროცენტით გაანაღდა, **ონტოფოს** კოლმეურნეობამ — 111 პროცენტით. კარგად მუშაობენ **გეზათისა** და **სამიქაოს** კოლმეურნეობების მეჩაიეები.

დიდი ჰუონის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ წელს 2.300 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს. კრეფა მასობრივად გაჩაღდა. დღეში კრეფენ 40-50 ტონას. ჩაის კრეფის ფრონტზე გამოჩნდნენ ნოვატორ მეჩაიეთა ახალი მიმდევრები. მათ შორის არის კიწიის კოლმეურნეობის მეჩაიე **ოლია ხუხუა,** რომელიც დღეში 100 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. მას არ ჩამორჩება **ლენა უჩავა.** სოფელ სალხინოს კოლმეურნეობაში დაწინაურდა **რონენა ქვარცხავა.** იგი დღეში 70 კილოგრამ ნედლეულს კრეფს. ყველას გაუსწრო ხუნწის კოლმეურნეობის მეჩაიემ **ლენა კიბოლაძემ,** რომელსაც დღემდე მოკრეფილი აქვს 2.500 კილოგრამი „მწვანე ოქრო".

6. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ირანის პრინცესა აშრაფ ფეჰლევი

3 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ირანის შაჰის და პრინცესა აშრაფ ფეჰლევი და ესაუბრა მას. საუბარმა გულთბილ და გულითად ვითარებაში ჩაიარა. აშრაფ ფეჰლევიმ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა ირანის შაჰის პირადი სალამი. (საკდესი).

ვალტერ ულბრიხტი სსრ კავშირში

ნოვოსიბირსკი, 4 ივნისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს დილით ვალტერ ულბრიხტი მეფელითურთ და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც მას ახლავან, ნოვოსიბირსკიდან ირკუტსკს გაფრინდნენ. მათთან ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. პ. კირილენკო და სხვა ოფიციალური პირები.

მიუხედავად იმისა, რომ ადრე დილა იყო, ნოვოსიბირსკის ათასობით მშრომელი გამოვიდა ქუჩებში და მოედნებზე ძვირფასი სტუმრების გასაცილებლად. აეროპორტში სიტყვები წარმოთქვეს ნოვოსიბირსკის სამრეწველო საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ი. ბაკუტინმა და ვალტერ ულბრიხტმა.

„ილ-18" ტურბოხრახნიანმა ლაინერმა აღმოსავლეთისაკენ, ანგარის ნაპირებისაკენ აიღო კურსი.

ირკუტსკი, 4 ივნისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი და მისი თანამგზავრები, რომლებიც საბჭოთა კავშირში სახელმწიფო ვიზიტად არიან, დღეს ნოვოსიბირსკიდან სპეციალური თვითმფრინავით ჩამოვიდნენ აღმოსავლეთ ციმბირის ცენტრში — ქალაქ ირკუტსკში.

ირკუტსკის აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ სკკპ სამრეწველო და სასოფლო საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები ბ. ბ. კაცუბა და ს. ნ. შჩეტინინი, სამრეწველო და სასოფლო საოლქო აღმასკომის თავმჯდომრეები ვ. ფ. მალცევი და ა. ვ. გრაცეკკო. ირკუტსკის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ფ. სალაკაცი და სხვა ოფიციალური პირები. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ მეგობრების შესახვედრად მოვიდა ადრეთვე ქალაქის ასობით მშრომელი.

გერმანელ სტუმრებს გულითადად მიესალმა ირკუტსკის სასოფლო საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ა. ვ. გრაცენკო.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გერმანიის დემოკრატიული გლეხთა პარტიის ცენტრალური გამგეობის მდივანმა ჰანს ვიცმა.

მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით სტუმრებისა და მათი თანმხლები პირების ავტომანქანების კოლონა ქალაქში წავიდა.

ახალი ამოცანების დონეზე დავაყენოთ ცოდნის პროპაგანდა!

მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში სამ დღეს გაგრძელდა სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" მორიგი ყრილობა.

4 ივნისს ყრილობამ განიხილა დღის წესრიგის შემდეგი საკითხი: „ცვლილებები და დამატებები სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" წესდებაში", მოხსენება გააკეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ნ. ზაიჩიკოვმა.

მოხსენების — „ცვლილებები და დამატებები სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" წესდებაში" — გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარე ი. ი. მატულისი, კიშინიოვის ტრაქტორის ასაწყობი ქარხნის (მოლდავეთის სსრ) საზოგადოება „ცოდნის" წევრთა ჯგუფის თავმჯდომარე ინჟინერი გ. ი. კულინგი, ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარე ს. ა. რაჯაბოვი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის სახალხო უნივერსიტეტების საკითხთა სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ნ. ჟუკოვ-ვერეჟნიკოვი, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის ფიზიკური, მათემატიკური და ასტრონომიული ცოდნის პრომპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი ვ. ა. ფაბრიკანტი.

კამათში გამოსულებმა მოიწონეს ცვლილებანი და დამატებანი, რომლებიც საზოგადოების წესდებაში უნდა შეიტანონ, თავიანთი შენიშვნები გამოთქვეს ცალკეული პუნქტების შესახებ.

ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, და დამტკიცეს საზოგადოების წესები.

ყრილობამ სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" კოლექტიურ წევრებად მიიღო სსრ კავშირის მწერალთა კავშირი, სსრ კავშირის კომპოზიტორთა კავშირი და სსრ კავშირის კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირი. დელეგატებმა ამ შემოქმედებითს ორგანიზაციებს დიდი წარმატებები უსურვეს ხალხში ცოდნის გავრცელების საქმეში.

ყრილობამ აირჩია საზოგადოების გამგეობის ახალი შემადგენლობა და სარევიზიო კომისია.

დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ლ. თ. ილიჩოვი და ბ. ნ. პონომარიოვი.

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის" IV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. (საკდესი).

ფოტოჟურნალისტების დაჯილდოება

მოსკოვი, 3 ივნისი. **(საკდესის კორ.).** დამთავრდა ფოტოჟურნალისტთა მეხუთე ტრადიციული გამოფენა „შვიდწლედი ხორციელდება".

თითქმის ერთი თვეა დედაქალაქის ცენტრალური საგამოფენო დარბაზი დამობილი ჰქონდათ ფოტოჟურნალისტებს. 700-ზე მეტი ნამუშევარი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის 450 ფოტოკორესპონდენტმა წარმოადგინა, ასახავს ყველაზე მთავარს, ყველაზე საინტერესოს, ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც მოხდა ჩვენს ქვეყანაში წელს.

დღეს საბჭოთა კავშირის გამოფენის „შვიდწლედი ხორციელდება" ჟიურიმ შეაჯამა და ჯილდოები მიანიჭა საუკეთესო ოსტატებს. პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა რუსეთის სფსრ, უკრაინისა და ყაზახეთის ათ ჟურნალისტს: მ. ალპერტს, ბ. გრადოვს, ვ. მალიშევს, ტ. მელნიკს, ნ. რახმანოვს, ვ. საკს, ა. საკონინს, ვ. სობოლევს, ე. ტიხანოვს და ე. უმნოვს. ფართოდაა ცნობილი ისეთი ნამუშევრები, როგორიცაა მ. ალპერტის სერია „ტამინა ადილი სიტყვას ამბობს ქალთა მსოფლიო კონგრესზე", ვ. სობოლევის „ლაპარაკობს მგზნებარე ფიდელი", ნ. რახმანოვის „XX საუკუნის ნათურები".

20 ოსტატს მიენიჭა მეორე ხარისხის დიპლომი. მათ შორის არიან ჩვენი ქვეყნის შვიდი რესპუბლიკის ჟურნალისტები, შემდეგი ნამუშევრების ავტორები, „იყო მოსკოვი"... (დ. ბალტერმანცი), „უდაბნოში წყალი მოვიდა" (ი. ბუდნეიჩი), „განქორწინების საქმე" (ლ. პორტერი) და სხვები.

მესამე ხარისხის დიპლომს მიიღებს ჩვენი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის 45 წარმომადგენელი. გამოფენის კიდევ ას მონაწილეს მიენიჭათ სიგელები.

ნლის მეორე ნახევრის ანგარიშში

ახალციხის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **ი. ხარისჩარიშვილმა** რედაქციას დეპეშით აცნობა, რომ „კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადაზე ადრე — პირველი იანვისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმები. კერძოდ მიყიდვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, ბეწვეულისა — 157, კურკეულისა — 119, ღორის ტყავისა — 137, მსხვილი ტყავისა — 105, წვრილი ტყავისა — 100 პროცენტით.

ახლა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება წლის მეორე ნახევრის ანგარიშში.

ქარხანა იუბილარი

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა 35 წლისაა

ბათუმი. (საკ. კორ.). დიდი ზეიმით აღინიშნეს ბათუმელმა მენავთობეებმა მშობლიური ქარხნის 35 წლისთავი. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა წარმოებაში.

ბათუმის ნავსადგურიდან მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიემართება ნავთობპროდუქტებით დატვირთული ტანკერები. მენავთობეები ამაყობენ, რომ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საქმეში მათაც შეაქვთ წვლილი. მათს დაუღალავ შრომაზე მეტყველებს მთავრობის ჯილდოები. ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია 464 კაცი, „წარჩინებული მენავთობის" ნიშნით — 73, საპატიო სიგელით — 56 კაცი.

მთელ რესპუბლიკაში გაითქვეს სახელი ქარხნის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა. უკანასკნელი წლინახევრის მანძილზე დაინერგა 180 წინადადება 430 ათასი მანეთის საერთო ეკონომიური ეფექტით. მიმდინარე შვიდწლედში მენავთობე-რაციონალიზატორებმა იკისრეს რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით დაეზოგათ 649 ათასი მანეთი. ეს ვალდებულება მათ ვადამდე — ოთხნახევარ წელიწადში შეასრულეს, ხოლო შვიდწლედის დამდეგიდან უკვე დაინერგა 840 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა საერთო ეკონომიური ეფექტი 850 ათას მანეთს შეადგენს.

ქარხნის კოლექტივის დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებმა, გადწყვეტილებებმა. ქარხანამ 4 თვის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, ხოლო მაისისა — 106 პროცენტით. გეგმის ზევით გამოშვებულია დიდძალი ნავთობპროდუქტები.

სისხლსავსე ცხოვრება დუღს ქარხნის დაბაში. ეს ერთ დროს დაჭაობებული ადგილი, მალარიის ბუდე, ამჟამად პატარა კოხტა ქალაქად გადაიქცა. მენავთობეთა განკარგულებაშია კულტურის სასახლე, მდიდარი ბიბლიოთეკა, სკოლები და სპორტული დაწესებულებები, საავადმყოფო-პოლიკლინიკა, სპორტდარბაზი, სტადიონი...

ყოველწლიურად შენდება და კეთილმოწყობილი ხდება დაბა. ქარხნის ყოველი მუშა თავს მოვალედ თვლის ყოველწლიურად დარგოს და გაახაროს ხეხილის ბუჩქი და სხვა მცენარე, მონაწილეობა მიიღოს გზების მოასფალტებაში, ყვავილნარებისა და გაზონების მოწყობაში.

დიდი მოწონებით სარგებლობს ქარხნის მომღერალთა გუნდი „შვიდაკეა", რომელშიც უმთავრესად ქარხნის ვეტერანები მონაწილეობენ, მათ შორის ოპერატორები ი. ფღენტი, გ. ჩხაიძე, გ. ჯიქიძე, გ. ძნელაძე, ვ. გობრონიძე, პენსიონერი დ. დღლიძე და სხვ. გუნდი ქართულ და რუსულ ხალხურ სიმღერებს ასრულებს.

შრომასთან ერთად კულტურულად ისვენებენ სახელოვანი მენავთობეები.

ახალი ტექნიკა სოფელს

„რიონის" ფრთები

ეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო", აგრეთვე ჩაის ბუჩქის სასხლავი, საფუმგაცი, ნიადაგის საკულტივაციო და სასუქების შესატანი მანქანები დამონტაჟებულია „ტ-16-ჩუ" მარკის ტრაქტორზე, რომელიც ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ მოდერნიზებულია ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში.

მოკლე ხანში, რაც პირველი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის „რიონის" გამოშვებიდან გავიდა, ქარხანამ ფრთები გაშალა.

„რიონი" ხომ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ გაიცნო. იგი ყველგან მოსწონთ და მას მარტოოდენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რიდი იყენებენ.

— ტრაქტორი „რიონი" ყველა იმედს ამართლებს. საუკეთესო შედეგები გვიჩვენა მან ხვნასა და კულტივაციაში. ყველაზე წარმატებით კი თიბვაზე მუშაობას იწერებიან კრასნოდარის მხარიდან.

— თქვენს 12 ტრაქტორს წარმატებით ვიყენებთ შიდასაკარხნო ტვირთების გადაზიდვაზე, აგრეთვე გაზონების ნიადაგის დამუშავებაზე, თიბვაზე, — მადლობას უთვლიან ქუთაისელ ტრაქტორმშენებლებს მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატიდან.

ახლა „რიონი" ის აღარ არის, რაც დღემდე იყო. იგი მოდერნიზებულია, მისი სიმძლავრე ერთნახევარი ცხენისძალით გაიზარდა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საექსპლოატაციო თვისებები. გასულ სამ თვეში ქარხანამ უკვე გამოუშვა ორასამდე მოდერნიზებული ტრაქტორი „რიონი-2".

ჩვენს სახელოვან მეჩაიეებს დროზე, კრეფის სეზონის დაწყებამდე რომ მიშველებოდნენ, ტრაქტორმშენებლებმა პირველ კვარტალში გეგმის ზევით გამოუშვეს 20 ცალი მოდერნიზებული ტრაქტორი „ტ-16-ჩუ", აგრეთვე 38 ცალი „ბშუ-1" მარკის ჩაის ბუჩქის სასხლავი მანქანა.

ქუთაისში მოდერნიზებულმა ტრაქტორებმა და აქვე შექმნილმა სხვა მანქანებმა, შეიძლება ითქვას, დასაბამი მისცეს ჩაის სამუშაოების კომპლექსურ მექანიზაციას. და მაინც ყოველივე ამით როდი ამოიწურება ქარხნის წვლილი სოფლის მეურნეობისათვის ახალი ტექნიკის გამოშვებაში.

ახალგაზრდა საწარმოში, რომელიც შვიდწლედის პირმშოა, შეხმატკბილებულად შრომობენ ინჟინერ-კონსტრუქტორები და ტექნოლოგები, მუშები და სპეციალისტები. ერთად იგონებენ და ამუშავებენ ისინი ჩვენი მეჩაიეებისა და მეციტრუსეებისათვის, მევენახ

ქიმიას—ფართო გზა!

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ — ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

ნიადაგი და სასუქები

ᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ზრდა-განვითარებისათვის არსებობს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: სინათლე, სითბო, წყალი, ჰაერი და საკვები ნივთიერებები. ჩამოთვლილი ფაქტორებიდან მცენარე წყალსა და საკვებ ნივთიერებებს ძირითადად იღებს ნიადაგიდან ფესვების მეშვეობით. ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐᲡ ᲐᲒᲐ ᲗᲣ ᲘᲛ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲗ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲡ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ — ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲔᲧᲠᲓᲜᲔᲑᲐ.

მაგალითად, ჩვენი რესპუბლიკის წითელმიწებში და შავმიწა ნიადაგებში აზოტისა და ფოსფორის საერთო რაოდენობა საკმარისია მაღალი მოსავლის უზრუნველსაყოფად, თუ კი ეს ნივთიერებები ნიადაგში მცენარისათვის შესათვისებელ შენაერთებში იქნებოდა. მაგრამ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურული მცენარე მაღალი მოსავლის მისაღებად მოითხოვს ამ ნივთიერებათა ხელოვნურად შეტანას ნიადაგში. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ როგორც წითელმიწა, ისე შავმიწა ნიადაგებში აზოტი და განსაკუთრებით ფოსფორი მცენარისათვის შეუთვისებელი ან ძნელად შესათვისებელი ფორმით იმყოფება.

მაგალითად, წითელმიწა ნიადაგში, სუფთა საკვებ ნივთიერებებზე გაანგარიშებით, აზოტის საერთო მარაგი შეადგენს 7.500 კილოგრამს, ფოსფორისა — 4.500 და კალიუმისა — 60.000 კილოგრამს, ხოლო შავმიწანიადაგში აზოტისა — 10.600, ფოსფორისა — 6.000 და კალიუმისა — 65.000 კილოგრამს.

საშემოდგომო ხორბალი კი 15 ცენტნერი მოსავლის მიღების დროს ჰექტარზე გამოიტანს აზოტს 45 კილოგრამს, ფოსფორს — 22 კილოგრამს და კალიუმს — 28 კილოგრამს. აქ მოყვანილი მონაცემები ნათელყოფენ იმას, რომ ისეთი ღარიბი ნიადაგი, როგორიც არის წითელმიწა, მდიდარია საკვები ნივთიერებებით, მაგრამ ეს ელემენტები ნიადაგში მცენარისათვის გამოუყენებელ მდგომარეობაშია და ნიადაგის საერთო ან პოტენციური ნაყოფიერების ელემენტს შეადგენენ.

პოტენციური ნაყოფიერება აბსოლუტური რაოდენობით სინამდვილეში ყოველთვის გაცილებით მეტია, ვიდრე ეფექტური ნაყოფიერება. მაგალითად, ტიპიურ შავმიწა ნიადაგებში საერთო აზოტის შემცველობა 0,5 პროცენტამდე შეადგენს. გაანგარიშებით ვიცით, რომ ერთი ჰექტარი ფართობის სახნავ ფენაში 11 ტონამდე სუფთა აზოტია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მცენარისათვის შესათვისებელი აზოტი არ აღემატება საერთო აზოტის ერთ პროცენტს.

მაშასადამე, შავმიწა ნიადაგში პოტენციური ნაყოფიერება აზოტის მიმართ ასჯერ მეტია, ვიდრე ეფექტური ნაყოფიერება. ეფექტური ნაყოფიერების ასეთი სიმცირე აღინიშნება, გარდა შავმიწა ნიადაგებისა, აგრეთვე ყველა სხვა სახის ნიადაგებზე. ამასთან ეს შეეხება არა მარტო აზოტს, არამედ ფოსფორს, კალიუმს და სხვა საკვებ ნივთიერებებსაც.

ნიადაგში ეფექტური ნაყოფიერების მკვეთრად გადიდების საქმეში სასუქების გამოყენებას აქტუალური მნიშვნელობა აქვს.

მართლაც, ქიმიზაციასა და მინერალური სასუქების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

მინერალური სასუქების გამოყენების შედეგად ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე 1.200 კილოგრამიდან გადიდდა 3.000-3.600 კილოგრამამდე. არსებითი მნიშვნელობა აქვს სასუქების გამოყენებას აგრეთვე ბაჭრის ჭარხლის, თამბაქოს და სხვა კულტურების მოსავლიანობის მკვეთრად გადიდების საქმეში.

სასუქები კარგ შედეგს იძლევა მაშინ, როდესაც მათ ვიყენებთ ნიადაგის თვისებების გათვალისწინებით. საქმე ის არის, რომ ნიადაგში შეტანილ სასუქებში აღებული საკვები ნივთიერებების საგრძნობი ნაწილი რწყვისა და ნალექების მეშვეობით ჩაირეცხება ნიადაგის ღრმა ფენებში, ან გამოირეცხება ნიადაგიდან, ნაწილი კი გადადის მცენარისათვის შეუთვისებელ ფორმაში.

ქვიშნარ ნიადაგებში შეტანილი საკვები ნივთიერებები უფრო ძლიერად ჩაირეცხება, ვიდრე თიხნარ და თიხიან ნიადაგებში, რის გამო საჭირო ხდება ქვიშნარ ნიადაგებში სასუქები შეტანილ იქნას მცირე დოზით და რამდენჯერმე, მცენარის მოთხოვნილების შესაბამისად.

სასუქებში შემავალი საკვები ნივთიერების გადასვლა მცენარისათვის შეუთვისებელ შენაერთებში დამოკიდებულია ნიადაგის თვისებებზე, მისი არის რეაქციაზე, ნიადაგის ქიმიურ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ თვისებებზე. სასუქების გამოყენებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საკვებ ნივთიერებებზე მცენარის მოთხოვნილება, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია ვიცოდეთ ნიადაგის თვისებებიც.

ნიადაგის თვისებები ამა თუ იმ ხარისხით გავლენას ახდენენ სასუქების ეფექტურობაზე. ნიადაგის ისეთი თვისებები, როგორიც არის შთანთქმის უნარი, ნიადაგის არის რეაქცია, მუავიანობა, დიდ გავლენას ახდენენ და ცვლიან სასუქების ეფექტურობას.

როგორც ცნობილია, ნიადაგს უნარი აქვს შეაკავოს ესა თუ ის ნივთიერება მასთან ურთიერთობაში არსებული ხსნარიდან.

არჩევენ ნიადაგის მექანიკურ, ფიზიკურ, ქიმიურ, ფიზიკოქიმიურ და ბიოლოგიურ შთანთქმებს.

სანამ შთანთქმის ცალკე სახეების განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა განისაზღვროს საერთოდ ნიადაგის მიერ სასუქების შთანთქმის მნიშვნელობა. შეტანილი სასუქებიდან მარილების კათიონები და ანიონები შთანთქმება ნიადაგის მიერ. ნიადაგის მიერ იონების შთანთქმა დამოკიდებულია ნიადაგის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე. მაგალითად, ორი სხვადასხვა მექანიკური შედგენილობის ნიადაგში თუ შევიტანთ გოგირდმჟავა ამონიუმს ერთი და იმავე კულტურის ნათესებში ერთნაირი დოზით, მივიღებთ სხვადასხვა ეფექტს. ქვიშნარ ნიადაგებზე გვაღვის პირობებში გაიზრდება ნიადაგის ხსნარის კონცენტრაცია, რასაც შეუძლია დააზიანოს ფესვები, ხოლო ნალექების პირობებში სასუქი ჩაირეცხება ღრმა ფენაში, რის გამო დაბალ მოსავალს მივიღებთ. თიხნარ ნიადაგებში შეტანილი გოგირდმჟავა ამონიუმი არ იწვევს გვალვის პირობებში ფესვთა სიხტის დაზიანებას, ხოლო წვიმებისა და მორწყვის პირობებში უზრუნველყოფს მაღალ მოსავალს.

ნიადაგის შთანთქმის უნარის ცოდნის შედეგად ამყამად ახორციელებენ ნიადაგზე ზემოქმედების ისეთ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიც არის მუავე რეაქციის მქონე ნიადაგების მოკირიანება და დამლაშებული ნიადაგების მოთაბა-შირება.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიადაგების შთანთქმის სახეებიდან რამდენადმე უნდა შეეჩერდეთ ფიზიკური შთანთქმის უნარზე. ნიადაგის ნაწილაკებს უნარი აქვთ მიიზიდონ და დამაგრონ წყალში გახსნილი მარილების ერთი მოლეკულა, ხოლო მეორე განიზიდონ.

ᲒᲔᲔᲓᲔᲚᲝᲒᲐᲨᲘᲐ მისაღები ის მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს გვარჯილებისა და ქლორიანი კალიუმის გამოყენების დროს. გვარჯილების მოლეკულები (რომლებიც მნიშვნელოვანია იმით, რომ აზოტს შეიცავენ) განიზიდება ნიადაგიდან და ამიტომ ადვილად გამოირეცხება ან ჩაირეცხება ნიადაგის ქვედა, ღრმა ფენებში, რის გამო მცენარეების აზოტით კვება უზრუნველყოფილი არ არის. ამ თვისებების გამო გვარჯილების შეტანა ნიადაგში მიზანშეწონილია შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. გვარჯილები შეტანილ უნდა იქნას ნიადაგში უშუალოდ თესვის წინ ან თესვისა და რგვის დროს.

რაც შეეხება ქიმიურ შთანთქმას, იგი კიდევ უფრო მეტი ყურადღების ღირსია სასუქების გამოყენებასთან დაკავშირებით. აქ ნიადაგის ხსნარში არსებული ნივთიერებები შთანთქმულ ფუძეებთან რეაქციაში შესვლისას იძლევიან ძნელად ხსნად ან უხსნად შენაერთებს. ასეთი ურთიერთმოქმედების შედეგად წარმოქმნილი უხსნადი ან ძნელად ხსნადი შენაერთები ნიადაგიდან არ გამოირეცხება და არც ნიადაგის ღრმა ფენებში ჩაირეცხება, მაგრამ ამ შენაერთებიდან ზოგიერთი ნაერთი მცენარისათვის შეუთვისებელია. მაგალითად, თუ ფუძეებით მაძღარ ნიადაგში (აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში) შევიტანთ მცენარისათვის კარგად შესათვისებელ ფოსფორიან სასუქს სუპერფოსფატს, ის ნიადაგში არსებული კალციუმის ან მაგნიუმის ზემოქმედებით გადადის ერთი ჩანაცვლებული ფოსფატიდან ორ ჩანაცვლებულში და აქედან შემდგომ სამ ჩანაცვლებულ ფოსფატში, რომელიც ძნელად შესათვისებელია მცენარეებისათვის.

დასავლეთ საქართველოს პირობებში ეწერი ტიპისა და წითელმიწა ნიადაგებში, რომელთა რეაქცია მუავეა, სუპერფოსფატი საგრძნობი რაოდენობით გადადის უხსნად შენაერთებში — ალუმინისა და რკინის ფოსფატებში. ამრიგად, ფუძეებით არამაძღარ ნიადაგებზე სუპერფოსფატის გამოყენება იწვევს უხსნადი ალუმინის და რკინის ფოსფატის წარმოქმნას, ხოლო ფუძეებით მაძღარ ნიადაგებზე გამოყენება კი გვაძლევს სამ ჩანაცვლებულ ძნელად შესათვისებელ ფოსფატს. ეს გარემოება კი იწვევს სუპერფოსფატის ეფექტურობის შემცირებას. სუპერფოსფატის მოქმედება რომ გავიგიდოთ, საჭიროა შევიტანოთ იგი მარცვლისებური სახით, გამოვიყენოთ მწვრილი თესვისას, ან ბუნებაში თესვის თუ რგვის დროს. მუავე რეაქციის ისეთ ნიადაგებზე, როგორიც ეწერი და წითელმიწა ნიადაგებია, მეტი წილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოთხოვნილებათა შესაბამისად კარგ შედეგს იძლევა მოკირიანება.

სასუქების გამოყენების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ-ქიმიურ ანუ ჩანაცვლებით შთანთქმას. კოლოიდური კომპლექსი შეიცავს შთანთქმულ კათიონებს, რომლებიც შეიძლება ჩანაცვლებულ იქნას ნიადაგის ხსნარში მყოფი რომელიმე სხვა კათიონით. ნიადაგის მიერ ერთი რომელიმე კათიონის შთანთქმისას წარმოიქმნა შთანთქმავი კომპლექსიდან ეკვივალენტური რაოდენობით შთანთქმული კათიონების გამოძევება და ხსნარში გადასვლა. ნიადაგის გაცვლითი შთანთქმის რეაქციებს ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასუქების გამოყენების დროს. ერთ-ერთ ასეთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ კათიონების გაცვლითი რეაქცია შექცევადია. იმ დროს ნიადაგის შთანთმთქავი კომპლექსის მიერ ხსნარში არსებული რომელიმე კათიონის შთანთქმასთან და მეორე კათიონის გამოძევებასთან ერთად შეიძლება ადგილი იქნეს შექცევად პროცესს, ე. ი. ეს შთანთქმული კათიონი ხელახლა გამოძევდეს და გადავიდეს ხსნარში.

კათიონების გაცვლითი რეაქციების შექცევადობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნიადაგში შეტანილი ზოგიერთი სასუქის ეფექტურობისათვის. ამა თუ იმ სასუქის ნიადაგში შეტანისას მცენარისათვის საჭირო კათიონები შთანთქმება ნიადაგის მიერ და ამით თავიდან აცილებული იქნება მათი ნიადაგიდან გამორეცხვა. ამასთან გაცვლითი რეაქციის შექცევადობის შედეგად შთანთქმული კათიონები ისევ გადადის ნიადაგის ხსნარში, რომლის შეთვისება მცენარეს შეუძლია. ამასთან ალსანიშნავია ბიოლოგიური შთანთქმის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით მცენარეების აზოტით კვების მოწესრიგების საქმეში. ბიოლოგიურ შთანთქმაში იგულისხმება საკვებ ნივთიერებათა შთანთქმა მიკროორგანიზმებისა და მცენარეთა ფესვების მიერ. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მიკროორგანიზმების მიერ ნიტრატების (გვარჯილების) შთანთქმა. ნიტრატები ადვილად გადადიან ნიადაგიდან სიღრმეში ჩარეცხვისა და გამორეცხვის გამო. გარდა აზოტისა ნიადაგში ბიოლოგიურად შთანთქმება გოგირდი, ფოსფორი, კალიუმი და მცენარისათვის საჭირო სხვა საკვები ნივთიერებები. მაგრამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ნიტრატული აზოტის ბიოლოგიურ შთანთქმას.

ნიადაგში არსებული ორგანული ნივთიერების დაშლელი მიკროორგანიზმები და ატმოსფეროს თავისუფალი აზოტის ფიქსატორები თავიანთი სასიცოცხლო ფუნქციებისათვის მოითხოვენ საკვებ ელემენტებს, რასაც იღებენ ნიადაგიდან და ატმოსფეროდან. მიკროორგანიზმების მიერ შთანთქმული ნივთიერებები გადადის მათი ორგანიზმის ორგანულ შენაერთებში და მიკროორგანიზმების დახოცვის შემდეგ უბრუნდება ნიადაგს. ბიოლოგიური შთანთქმა წარმოებს აგრეთვე მცენარეთა ფესვების მიერ, რომელთა ვაბრწნის შემდეგ მასში შემავალი საკვები ნივთიერებები უბრუნდება ნიადაგს.

ნიადაგის ბიოლოგიური შთანთქმა დაწოკიდებულია ყველა იმ პირობაზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობაზე. ნიადაგების მიკროორგანიზმის ცხოველმყოფელობას ზრდიან ტემპერატურა, ნიადაგის არის რეაქცია, ნიადაგის წყალმართვის და ჰაეროვანი რეჟიმი.

სასუქების გამოყენების დროს აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ნიადაგის რეაქცია. ნიადაგის რეაქცია დიდ გავლენას ახდენს მცენარის ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობაზე. რეაქცია განსაზღვრავს ნიადაგში მყოფი მიკროორგანიზმების ცხოველმყოფელობას. როდესაც მუავიანობის მაჩვენებელი ექვსზე დაბლა იწევს, ნიადაგში მცირდება ბაქტერიები და ძლიერდება სოკოების ცხოველმყოფელობა.

ნიადაგის მუავიანობის მიხედვით ხდება სასუქების ფორმების შერჩევა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს ეწერი და წითელმიწა ნიადაგების განოყიერების დროს შედარებით უფრო მცირენალექიან რაიონებში უპირატესობა უნდა მიეცეს ისეთ აზოტოვან სასუქებს, როგორიც არის კალციუმის გვარჯილა და ნატრიუმის გვარჯილა, ფოსფორიანი სასუქებიდან — ფოსფორიტის ფქვილი. ფიზიოლოგიურად ტუტე აზოტიანი სასუქები დადებითად მოქმედებენ ნიადაგის მუავე რეაქციის თანდათანობით განეიტრალების თვალსაზრისით.

ᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲐᲓ მუავე აზოტიანი სასუქები, ამონიუმის სულფატი და ამონიუმის ქლორიდი უკეთესია გამოყენებულ იქნას არა მუავე რეაქციის ნიადაგებზე, არამედ შავმიწებზე, წაბლა ნიადაგებზე და სხვ.

ნიადაგში არჩევენ მუავიანობის ორ სახეს: აქტუალურსა და პოტენციურს. პოტენციური თავის მხრივ იყოფა გაცვლითი და ჰიდროლიზური მუავიანობის ფორმებად.

აქტუალური მუავიანობა განპირობებულია ნიადაგის ხსნარში არსებული წყალბადიონებით. ნიადაგის ხსნარის მუავე რეაქცია გამოწვეულია მასში ნახშირორჟანგის, ნახშირის მუავის, წყალში ხსნადი ორგანული მუავებისა და ალიუმინის არსებობით. მუავე რეაქცია ახასიათებს წითელ მიწებსა და ეწერის ტიპის ნიადაგებს, ნეიტრალური რეაქცია — შავმიწა ნიადაგებს.

გაცვლითი მუავიანობა მიუთითებს იმაზე, რომ ნიადაგის შთანთქმული კომპლექსიდან საგრძნობლად გამოძევებულია ფუძეები. მათი ადგილი დაკავებული აქვს წყალბადიონებს და ამრიგად, აქტიურად მიმდინარეობს დამჟავების პროცესი, გაცვლითი მუავიანობით ხდება კირის დოზების დადგენა კარტოფილისათვის და დაჭაობებული ტორფიანი ნიადაგებისათვის. ნიადაგის ჰიდროლიზური მუავიანობის მიხედვით საერთოდ ადგენენ კირის დოზებს და ფოსფორიტის ფქვილის მოსალოდნელ ეფექტურობას.

სასუქების გამოყენების დროს მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნიადაგის ბუფერობას. ნიადაგის ბუფერობა არის ნიადაგის უნარი წინააღმდეგს რეაქციის შეცვლას მასში შეტანილი ფიზიოლოგიურად მუავე ან ტუტე სასუქების შეტანით.

ფუძეებით არამაძღარი ეწერი ნიადაგები არაბუფერულ ნიადაგებს მიეკუთვნება. ამ ნიადაგებში ფიზიოლოგიურად მუავე სასუქებს — ამონიუმის სულფატსა და ქლორიან ამონიუმს საერთოდ არ იყენებენ, რადგან მათ შეუძლიათ ნიადაგის ისედაც მუავე რეაქცია უფრო შეამუავონ, რის გამო მცენარეთა ზრდა-განვითარება საგრძნობლად ფერხდება. საქმე ის არის, რომ ამ ნიადაგებში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი წყალბადიონები და ფიზიოლოგიურად მუავე სასუქების შეტანა კიდევ უფრო ადიდებს წყალბადიონების კონცენტრაციას.

ალნიშნულის მიხედვით საჭიროა მუავე რეაქციის ნიადაგში შედარებით მცირენალექიანან რაიონებში შეტანილ იქნას ფიზიოლოგიურად ტუტე სასუქები, კალციუმის ან ნატრიუმის გვარჯილა. უფრო კარგ შედეგს გვაძლევს არაბუფერულ ნიადაგებზე მოკირიანება და ორგანული სასუქების გამოყენება.

ფუძეებით მაძღარი ნიადაგები — წაბლა ნიადაგები, შავმიწები, ნეშომპალა — კარბონატული ბუფერულ ნიადაგებად ითვლებიან, ამ ნიადაგებზე უპირატესობა აქვს ფიზიოლოგიურად მუავე სასუქების გამოყენებას. ბუფერულ ნიადაგებზე ფოსფორიტის ფქვილის გამოყენება მიზანშეუწონელია.

დოც. ᲒᲘ. ᲣᲠᲣᲨᲐᲫᲔ.

ᲤᲠᲗᲔᲒᲡ ᲨᲚᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲘᲡ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა და საზოგადოება „ცოდნამ“ სამტრედიის განყოფილებამ მოაწყვეს გამსვლელი სამეცნიერო სესია სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხებზე.

მოხსენება — „ქიმია და სოფლის მეურნეობა“ — გააკეთა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანულ ნაკეთობათა ტექნოლოგიის კათედრის გამგემ, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულმა მოღვაწემ, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. კაკაბაძემ.

„აზოტოვანი სასუქების ზიღება და მათი გამოყენება სოფლის მეურნეობაში“ — ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის არაორგანულ ნაკეთობათა სინთეზისა და კატალიზის ლაბორატორიის გამგე დოცენტი ვ. ჩაგუნავა.

საინტერესო იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის კათედრის პროფესორის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ა. მენაღარიშვილის მოხსენება, რომელმაც ერცოდა ილაპარაკა სასუქების როლზე სამტრედიის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საქმეში.

Ბ. ᲒᲝᲒᲣᲩᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ. (საკ. კორ.). გაზაფხულზე, როცა ჯეჯილს სიმწვანე შეეპარა, კოლმეურნეობებმა მისი დამუშავება დაიწყეს. პირველ რიგში სასუქების შეტანაზე იზრუნეს.

ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში მინერალური სასუქი შეიტანეს თვითმფრინავით 780 ჰექტარ ხორბლის ნათესში, ულიანოვკის კოლმეურნეობაში — 600 ჰექტარზე. საშემოდგომო ნათესებში მინერალური სასუქების შეტანამ შესანიშნავი შედეგი გამოიღო. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

ᲐᲒᲠᲝᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲮᲔᲮᲘᲚ-ᲡᲐᲜᲔᲠᲒᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲦᲕᲐᲚ ᲐᲒᲠᲝᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲕᲔᲑᲐ. ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲐ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ Თ. ᲤᲘᲠᲪᲮᲐᲚᲐᲫᲔ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲗᲝᲗᲮᲛᲝᲓᲔ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲕᲔᲑᲐ. ᲐᲒᲠᲝᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲒᲠᲝᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ.

Გ. ᲒᲔᲒᲔᲩᲙᲝᲠᲘᲐ.

სიუხვის რეზერვი

ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲣᲠᲘ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐ — ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲖᲔ, ᲤᲔᲠᲛᲔᲑᲨᲘ!

ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ წარმოშობის ზრდის სტიმულატორი, სხვანაირად რომ ვთქვათ, ნავთობური ზრდის ნივთიერება ნაფტენის მეავების ნატრიუმის მარილია. ნავთობური ზრდის ნივთიერებას აწარმოებენ ნავთობის მრეწველობის ნარჩენებისაგან ბაქოს ა. ყარაევის სახელობის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში.

ძალიან მოკლე ხანში ნავთობური ზრდის ნივთიერებამ დიდი პოპულარობა მოიპოვა და ახლა მას ჩვენს ქვეყანაში, აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში ფართოდ იყენებენ მემცენარეობასა და მეცხოველეობაში.

ᲯᲔᲠ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ნავთობური ზრდის ნივთიერებას ცდდიდნენ სამეცნიერო დაწესებულებებში და იყენებდნენ საწარმოო პირობებში სულ რამდენიმე ასეულ ჰექტარზე. აი სულ სხვა ციფრები, რომლებიც ადასტურებენ ნავთობური ზრდის ნივთიერების მაღალ ეფექტიანობას, იმასა, რომ სოფლის მშრომელებს სწამთ ეს სასწაულმოქმედი ნივთიერება. შარშან ეს ნივთიერება ჩვენს ქვეყანაში მინდვრის კულტურებისა და მრავალწლიანი ნარგავებისათვის გამოყენებულ იქნა დაახლოებით ხუთ მილიონ ჰექტარ ფართობზე. წელს კი ნავთობის წარმოშობის ზრდის სტიმულატორი მაღალი მოსავლის მისაღებად გამოყენებულ იქნება 40 მილიონამდე ჰექტარ ფართობზე.

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რესპუბლიკასა, მხარესა და ოლქში ჩატარებულმა მრავალმა კვლევამ და საწარმოო ცდებმა ცხადყვეს, რომ ნავთობური ზრდის ნივთიერების გავლენით იზრდება რაოდენობა აზოტისა და ფოსფორის იმ ფორმებისა, რომლებსაც მცენარეები ითვისებენ, ძლიერდება ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესები, უმჯობესდება მცენარეების ნივთიერებათა ცვლა და წყლის რეჟიმი.

მოვიყვანთ საწარმოო ცდების ზოგიერთ შედეგს, რომელიც მოწმობს ნავთობური ზრდის ნივთიერების დიდ ეფექტიანობას სხვადასხვა კულტურის მოსავლიანობის ზრდაზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონაში (მათემატიკური დამუშავების მონაცემები). შარშან სიმინდის თესლი თესვის წინ დაასველეს ნავთობური ზრდის ნივთიერების ხსნარით და ოვითეულ ჰექტარზე დამატებით მიიღეს 2,62 ცენტნერი მარცვალი, ხოლო ამ ხსნარით მცენართა შესხურების დროს ეს მატება 4,85 ცენტნერამდე აკიდა. ნავთობური ზრდის ნივთიერების კომპლექსური გამოყენებისას (თესლის დასველება თესვის წინ ჭლეს მცენართა შესხურება ვეგეტაციის დროს) მარცვლეულის მოსავლის მატებამ ჰექტარზე საწარმოო ცდების პირობებში შეადგინა 14,2 ცენტნერი ანუ მოსავლის 23 პროცენტი.

ნავთობური ზრდის ნივთიერება გამოსცადეს სიღოსის დასამზადებელ მწვანე მასად დათესილი სიმინდზეც. თესლის დასველებასა მწვანე მასის მოსავლის მატებამ ჰექტარზე შეადგინა 21 ცენტნერი, ნათესლების შესხურებისას — 21,9 ცენტნერი.

საუკეთესო შედეგი გამოიღო ნავთობური ზრდის ნივთიერების გამოყენებამ შაქრის ჭარხალზეც. თესლის წინ ამ ნივთიერების ხსნარით თესლის დასველებისას მოსავლის მატებამ ჰექტარზე შეადგინა 26,4 ცენტნერი, ხოლო მცენარეთა შესხურებისას — 47,4 ცენტნერი ანუ მოსავლის თითქმის მეხუთედი ნაწილი. კომპლექსური გამოყენებისას კი (თესლის დასველება და ნათესების შესხურება) ძირების მატებამ ჰექტარზე მიაღწია 81,7 ცენტნერს ანუ მოსავლის 26 პროცენტს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ამ ძვირფასი ნივთიერების გამოყენებით მიღწეულ მოსავლის ზრდას ერთვოდა შაქრის მატება ძირებში. მაშასადამე, მოგებას იღებდნენ ჰექტარზე აღებული ძირების წონის მატებითაც და შაქრის დაგროვებითაც.

პაპიდორის თესლის დასველებისას მოსავლის მატებამ ჰექტარზე შეადგინა 25,5 ცენტნერი, მცენარეთა შესხურებისას — 27 ცენტნერი, ხოლო კომბოსტოს მცენარეთა შესხურებისას მოსავალი თითქმის 60 ცენტნერით გადიდდა.

ნავთობური ზრდის ნივთიერება კარგად მოქმედებს საშემოდგომო ხორბალზეც და ქერზეც. საშემოდგომო ხორბალი თესვის წინ თესლის დასველების პირობებში ჰექტარზე იძლევა 2,4 ცენტნერ მატებას, ხოლო ქერი ნათესების შესხურებისას — 9,4 ცენტნერს.

ნავთობური ზრდის ნივთიერების გამოცდებს მთელი ჩვენი ქვეყნის ფარგლებში მეთოდურად ხელმძღვანელობს აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგთმცოდნეობის და აგროქიმიის ინსტიტუტი. აქვე თავმოყრილია ამ თავისებური სრულიად საკავშირო ექსპერიმენტის მთელი ძირითადი მასალები. ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა ჯაბრაილ შუხტარის-ოგლუ ჰუსეინოვმა ამ სრულიად საკავშირო ექსპერიმენტის შედეგებზე დაწერილებით მოუთხრო ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერთა, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკთა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა იმ თათბირის მონაწილეებს, როგორიც ბაქოში მოეწყო სოფლის მეურნეობაში ნავთობური ზრდის ნივთიერების გამოყენების ურთიერთ გაზიარებისათვის. ეს თათბირი მოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს ამ მას საქართველოს სს რესპუბლიკის წარმომადგენლებიც დასწრნენ.

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜᲘ ნარგავების მოვლა. ხეხილის ბაღებში ხორციელდება აზოტიანი სასუქებისა და წუნწუხის შეტანა, ნიადაგის გაფხვიერება და საჭიროების მიხედვით რწყვა. ივნისში მიმდინარეობს მარწყვისა და ზაფხულის ხილის აღება. ხეხილის ნარგავებზე ტარდება მწვანე სხვლა (გაფურჩქვნა), ყველა ზედმეტი ყლორტი 3-4 ფოთოლზე უნდა მოვჭრათ.

ᲩᲐᲘᲡ პლანტაციებში გაჩაღებულია ხარისხოვანი ფოთლის კრეფა. მიმდინარეობს ნიადაგების კულტივაცია, სასუქების შეტანა, შესაბამისობის ფარგლებში და საჭიროების მიხედვით — რწყვა.

საერთაშორისო დეკენური ცნობიერი ვიმოწმოლა ცხოვრება

მეგობრული თანამშრომლობა

ვარშავა, 4 ივნისი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, რომ პოლონეთისა და სსრ კავშირის მთავრობათა დელეგაციებმა ვარშავაში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის საბჭოთა კავშირის დახმარება პოლონეთისადმი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ძიებაში, აგრეთვე ტექნიკური დახმარება, რასაც პოლონეთს უწევს საბჭოთა კავშირი სპილენძის მადნის მრეწველობის განვითარებაში.

პირველი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დახმარება ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ძიებაში. საბჭოთა კავშირი 1965-70 წლებში პოლონეთს მოაწვდის საჭირო საბურღ დანადგარებს, გეოფიზიკურ აპარატურას, სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობას, აგრეთვე საჭირო ტექნიკურ დოკუმენტაციას. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი პოლონეთს დაეხმარება კონსულტაციებით და მოამზადებს პოლონელ სპეციალისტებს. საბჭოთა კავშირი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის ძიებაში პოლონეთს გაუწევს დახმარებას ხელსაყრელი კრედიტის პირობებით.

მეორე ხელშეკრულება ითვალისწინებს პოლონეთისათვის ტექნიკური დახმარების გაწევას სპილენძის მადნის მრეწველობის განვითარებაში.

უცნაური საჰაერო ბურთები

ჰავანა, 3 ივნისი. (საკდესი). კუბის პრესა ფართოდ განმარტავს პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტროს გუშინდელ განცხადებას იმის შესახებ, რომ ლას-ვილიასს პროვინციაში აღმოაჩინეს უცნაური საჰაერო ბურთები. ფიდელ კასტროს განცხადებაში აღინიშნა, რომ, როგორც ჩანს, ბურთები დიდი სიმაღლიდან ჩამოყარეს; მიწაზე დაცემის შემდეგ ეს ბურთები გადაიქცა ლაბისებრ ნივთიერებად, რომელიც სწრაფად ქრებოდა. პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა ვარაუდი, რომ იმპერიალისტები ცდილნ რაღაც ახალ ნივთიერებას, ეგზავენ რა ბაქტერიოლოგიური და ვირუსული იარაღის გამოყენებას კუბის წინააღმდეგ.

ლას-ვილიასის პროვინციაში ჩამოყრილი ბურთები, აღნიშნავს ამასთან დაკავშირებით სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ოო", მოწმობს იმას, რომ ცდილობენ კუბელი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენონ ბაქტერიოლოგიური იარაღი.

გაზეთი აღნიშნავს, რომ კუბის მთავრობამ მოითხოვა გულდასმით შეამოწმონ რაიონი, სადაც ეს ბურთები აღმოაჩინეს.

გაზეთი მოუწოდებს სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციას, პროფკავშირებსა და სხვა მასობრივ ორგანიზაციებს, სახელმწიფო აპარატის მუშაკებს გააძლიეროს სიფხიზლე.

გაზეთი „მუნდო" სარედაქციო სტატიაში აცხადებს, რომ კუბას აქვს საშუალებანი ამგვარი აგრესიის მოსაგერიებლად. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი და საერთაშორისო ორგანიზაციები, ხაზგასმით აღნიშნავს „მუნდო", აიძულებენ დამნაშავეებს შეწყვიტონ თავიანთი მოქმედება და პატივი სცენ საერთაშორისო სამართალს.

ალჟირის ლახვარი კონფრონტაციას

ალჟირი, 4 ივნისი. საკდესის კორესპონდენტები ე. პოპოვი და ა. ტოკარიოვი გვატყობინებენ:

ალჟირის პოლიციამ დაატყვევა ის ტერორისტული აქტის მონაწილეები, რომელიც 31 მაისს საღამოს განხორციელდა ვილა ჟოლის — ალჟირის პრეზიდენტის კამეჯ ბენ ბელას რეზიდენციის დაცვის წინააღმდეგ.

გაზეთი „პეპლი" დღეს იტყობინება, რომ დაატყვევებულია ამ აქტის ხუთი უშუალო მონაწილე და რამდენიმე მათი თანამზრახველი.

მთელ ალჟირში გაიშალა ფართო კამპანია იმ ზომების მხარდასაჭერად, რომელნიც მიიღეს პარტიამ — ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა და პრეზიდენტმა აჰმედ ბენ ბელამ კონტრრევოლუციური ელემენტების ხრიკების წინააღმდეგ.

ლ. ჯონსონის გამოსვლა

ვაშინგტონი, 3 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა დღეს ნიუ-ლონდონში კონექტიკუტის შტატი) საზაპარო დაცვის აკადემიის კურსდამთავრებულთა კრებაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც მიუძღვნა უმთავრესად ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო ღონისძიებებს.

პრეზიდენტი ჯონსონი ამტკიცებდა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ძლიერება ახლა მეტია, ვიდრე ოდესმე ყოფილა", რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2,5-ჯერ გაადიდეს თავიანთი ატომური ძლიერება და 45 პროცენტით საბრძოლო დივიზიების რიცხვი.

ჯონსონმა განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებში ფართოდ ამზადებენ განსაკუთრებულ ჯარებს „ძირგამომთხრელ საქმიანობასთან საბრძოლველად სახელმწიფოს შიგნით", ესე იგი პარტიზანული და სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ჩასახშობად სხვა ქვეყნებში. 1961 წლის იანვრიდან, თქვა მან, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 8-ჯერ გაადიდეს ამ სპეციალიზებული ჯარების რიცხვი.

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის შემადგენლობაში, განაცხადა პრეზიდენტმა, ახლა არის 6 სპეციალური საბრძოლო შენაერთი, მთელ მსოფლიოში გაფენტული. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტსა და სამხედრო-საჰაერო ძალებში არის რამდენიმე ათასი კაცი, მომზადებული, გაწვრთნილი და ჯეროვნად შეიარაღებული ანტიპარტიზანული ომისათვის.

პრეზიდენტმა ჯონსონმა თქვა, რომ ამერიკელთა 344 სამხედრო ჯგუფი 49 ქვეყანაში ადგილობრივ ჯარებს „ასწავლის სამინაო თავდაცვის ყველაზე თანამედროვე მეთოდებს". მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ კვლავ გაადიდონ სპეციალიზებული ჯარების რიცხვი და ძლიერება.

თავისი სამარი გამოსვლის დასასრულს ჯონსონმა განაცხადა აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ქმნიან ახალ სახელობათა იარაღს.

ამერიკის შეერთებული შტატების გამლეტულ შეიარაღებას ჯონსონი ამართლებდა იმის დამოწმებით, თითქოს ამერიკის სამხედრო ძლიერებაზე იყოს დამოკიდებული მშვიდობის უზრუნველყოფის იმედები.

სეულის რეჟიმის მუფოთვარე დღეები

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ კორეის მთავრობამ შემოიღო სამხედრო წესები სეულში, სადაც დღეს გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო გრანდიოზული დემონსტრაცია. სამხრეთ კორეის მთავარი ქალაქი ახლა სამხედრო ბანაკს ჰგავს — მთავრობის შენობებს გარს არტყია ჯარების მჭიდრო კორდონი, პრეზიდენტის რეზიდენციის გარშემო პოლიციამ მოაწყო ბარიკადები, ქუჩებს პატრულობენ ჯარისკაცები.

დემონსტრაცია სეულში დაიწყო მას შემდეგ, რაც სეულის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც განაცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ ხალხის საწინააღმდეგო ახლანდელი რეჟიმის დამხობისათვის და ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დამყარებისათვის.

ათასობით სტუდენტი და ქალაქის მცხოვრებლები, რომლებიც სტუდენტების შეუერთდნენ, გაეშურნენ სამხრეთ კორეის ეროვნული კრების შენობისაკენ. მათ გზა გადაუღობა მარიონეტული მთავრობის პოლიციამ. ქუჩებში გაიმართა ნამდვილი ბრძოლა დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის. პოლიციას დაუჭრის ასობით კაცი და იგი იძულებული იყო უკან დახევა. დემონსტრაციის შერიერება შეძლეს მთავრობის შენობებთან მხოლოდ ქალაქში გადმოყვანილი სამხრეთ კორეის არმიის საპარაშუტო ნაწილების დახმარებით.

პრომეთეოსული რეჟიმის დამხობისათვის სეულის სტუდენტთა ბრძოლას მხარი დაუჭირეს სამხრეთ კორეის სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, „ამერიკის ოფიციალური პირები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს უკანასკნელ ამბებს სამხრეთ კორეაში".

„ბიდლის" შავი მისია

ბონი, 4 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა დასავლეთგერმანელ სამხედრო მეზღვაურთა პირველი ჯგუფი, რომლებიც შეავლენ ამერიკის რაკეტიანი საესკადრო ნაღმოსანის „ბიდლის" „შერეული" ეკიპაჟის შემადგენლობაში. ამ სამხედრო ხომალდმა უნდა შეასრულოს ნატოს „მრავალმხრივი ატომური ფლოტის" გემების პროტოტიპის როლი. როგორც იუწყება დასავლეთგერმანული პრესა, მომდინარე წლის დამლევს რაკეტიანი საესკადრო ნაღმოსანი „ბიდლი" „შერეული" ეკიპაჟით, რომლის შემადგენლობაში იქნებიან ნატოს 7 ქვეყნის ოფიცრები და მატროსები, დაიწყებს „სასინჯ ნაოსნობას".

ხომალდის ეკიპაჟში იქნება დასავლეთ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის 47 მატროსი და 2 ოფიცერი. გაზეთები აღნიშნავენ, რომ „სასინჯი ნაოსნობის" დროს, რაც ერთ წელზე მეტს გაგრძელდება, საესკადრო ნაღმოსან „ბიდლის" ეკიპაჟი დაეუფლება თანამედროვე რაკეტიანი იარაღის ხმარებას.

ივნისში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება დასავლეთგერმანელ სამხედრო მეზღვაურთა მეორე ჯგუფი, რომელიც ასევე შეავლ „ბიდლის" ეკიპაჟის შემადგენლობაში.

კიდევ ერთი კანიგალი

ვაშინგტონი, 4 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფან გუი კუატმა გუშინ მხარი დაუჭირა იმას, რომ გამოიყენონ ატომური იარაღი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

„თუ საჭირო იქნება, — განაცხადა ამ მინისტრმა — კანიბალმა, — უნდა გამოვიყენოთ ყოველგვარი სახეობის იარაღი".

„ვეფხისტყაოსნის" ახალი თარგმანის ირგვლივ

ბაკოთ „კომუნისტის" № 93-ში გამოქვეყნდა მოკლე ცნობა ვლადიმერ მაჰაკარიანისა სათაურით — „ფრანგები კითხულობენ „ვეფხისტყაოსანს", სადაც აღნიშნულია, რომ იუნესკოს თაოსნობით გამომცემლობა „გალიმარი" უკვე მაესის ბოლოსათვის უშვებს „ვეფხისტყაოსნის" ახალ თარგმანს, რომელიც „სერგი წულაძეს შეუსრულებია პროფესორ შ. ნუცუბიძის უშუალო დახმარებით და კონსულტაციით, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების „ვეფხვის" ბიბლიოთეკა".

ამავე ადგილზეა ნაბეჭდი, რომ „ოთხი თავი ჩვენი ხალხის სათაყვანებელი პოეტმიდან უკვე გამოქვეყნდა ცნობილი ფრანგი პოეტის ლუი არაგონის რედაქტორობით ჟურნალ „ლე ლეტრ ფრანსეზში".

ქართველ მკითხველთა წრეებს აინტერესებს „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ ენაზე, ისევე როგორც ყოველ სხვა ენაზე, თარგმნის საკითხი. ეს მართლაც საინტერესო საკითხია და თავის დროზე, შესაძლოა, იგი ცნობილიც გახდეს. ამ შემთხვევაში ქართველ საზოგადოებას აინტერესებს ამ ფრანგული თარგმანის მომზადების ისტორია, რომელიც გამოდის პარიზში.

ეს თარგმანი ისტორიულად უკავშირდება ჯერ კიდევ 1937 წელს საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებას რუსთაველის 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, შოთას უკვდავი ქმნილების ფრანგულად თარგმნა მიენდო ელისაბედ ორბელიანს. მას შეუქმნეს სათანადო პირობები და, სხვათა შორის, მიუჩინეს ორი დამხმარე კონსულტანტი: ს. იორდანიშვილი—„ვეფხისტყაოსნის" ქართული ტექსტის წაკითხვისათვის და მე ფრანგული თარგმანის „ვეფხისტყაოსანის" ქართულ ტექსტთან შესადარებლად. გარდა ამისა, ელისაბედ ორბელიანს დაუნიშნეს პირადი მდივანი ფრანგული ტექსტების გადასაწერად.

ორბელიანისეული თარგმანი არ დაიბეჭდა, რადგან იუბილესათვის ვერ მოესწრო, ხოლო შემდეგ მის შეფასებაში სხვადასხვა აზრი წარმოიშვა, და საკითხი ღია დარჩა.

ვინაიდან რუსთაველის თარგმნა მეტად აქტუალურ საკითხად ითვლებოდა როგორც თბილისში, ისე მოსკოვში, საიუბილეო გამოცემათა სახით დაიბეჭდა რამდენიმე რუსული თარგმანი (ს. პეტრენკო, გ. ცაგარელი). 1941 წელს ჩემი რუსული თარგმანის გამოსვლასთან დაკავშირებით რუსეთში მ. პრიტვიცს დაევალა გერმანული თარგმანის მომზადება, რაც მან შეასრულა, მაგრამ თარგმანი მძიმე და მეტად არქაიზებული გამოვიდა. მ. პრიტვიცმა „ვეფხისტყაოსნ ს" ფრანგული თარგმანიც იკისრა, მაგრამ დასაწყისის უმნიშვნელო ნაწილის მეტი არ მოუმზადებია.

1948 წელს უცხოური ლიტერატურის გამომცემლობამ მოსკოვში კვლავ დაიყენა საკითხი რუსთაველის როგორც გერმანულად, ისე ფრანგულად თარგმნის შესახებ. დასახელებული გამომცემლობის მიერ ჩემთან მოვლინებულ იქნა უცხოთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მეშვეობით საგანგებო პირი. ჩვენ დაგვევალა გადაგვეშუშავებინა ორბელიანის თარგმანი, ლა გერმანული თარგმანის მომზადება, რაც მან შეასრულა, მაგრამ თარგმანი ძმიმე და მეტად არქაიზებული გამოვიდა. მ. პრიტვიცმა „ვეფხისტყაოსნ ს" ფრანგულ ენაზე ითარგმნა, ოღონდ ეს ორივე ვარიანტი ერთ-ერთ ადგილზე ერთმანეთს ემთხვეოდა. ეს ადგილი ასეთია: „ვეფხისტყაოსანი" ... „ვეფხისტყაოსანი" ... „ვეფხისტყაოსანი" ...

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

სიახლეთა დაგადეგა

ტყვარჩელ-ქვანაბეირის ტრესტი მუშათა მოთარაგების განყოფილებამ მეშახტეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გახსნა ნახევარფაბრიკატების ფაბრიკა. მას აქვს თევზის ნაწარმის, ხორცეულის, კულინარიულ, საკონდიტრო და შოსტენეულის საამქროები.

ვ. ჯღარკავა.

□ **წყალტუბო.** (საკ. კორ.). **სოფელ მუხიანში გაიხსნა მუსიკალური სკოლა, რომელშიც კოლმეურნეთა და სოფლის მუშა-მოსამსახურეთა 40-მდე ბავშვი სწავლობს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მუსიკალური ინსტრუმენტით. აქ მუსიკალურ ანბანს ეუფლებიან მუხიანის, მესხეთისა და უკანეთოს მცხოვრებთა შვილები.**

□ **მახარაძე.** (საკ. კორ.). **ამ დღეებში ქალაქის მშრომელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს — საქალაქო-ალოტაციოდ გადაეცა საქმაჭრობის მახარაძის განყოფილების უნივერსალური მაღაზია.**

მაღაზიას აქვს 12 განყოფილება. აქ არის ქსოვილების, მზა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, ელექტროსაქონლის, პარფიუმერიისა და სხვა საქონლის სექციები.

△ **ფოთის** მშრომელთა სამსახურში ჩადგა **კულტურის სახლი, რომელიც მთლიანად რეკონსტრუირებულია. ახლა მისი დარბაზი 350 კაცს იტევს. მალე მოეწყობა საკულტურო სატელევიზიო ოთახი მასობრივი მომსახურებისათვის.**

კულტურის სახლში უკვე შეუდგა მუშაობას მოცეკვეთა და მომღერალთა გუნდები. მათთვის აქ საკულტურო დარბაზებიც მოეწყო.

კ. კომასიძე.

ჯილდო მეათეჯერ

თბილისის რესტორანებისა და კაფეების ტრესტის მუშაკთა საზეიმო კრება

თბილისის სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა ჩვენი დედაქალაქის რესტორანებისა და კაფეების ტრესტის მუშაკთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ტრესტის კოლეტივთის დაჯილდოებას.

ტრიბუნაზეა სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე შ. ტიტვინიძე. მან ილაპარაკა თბილისის რესტორანებისა და კაფეების ტრესტის მუშაობის 1964 წლის პირველი კვარტალის შედეგებზე, მიდწევებზე. ტრესტის მუშაკთა მაღალნაყოფიერ შრომაზე. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ ტრესტის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა 107,5 პროცენტით შესრულა, მნიშვნელოვნად გაადიდა კერძების გამოშვება, რის შედეგადაც ზეგეგმითმა დანაზოგმა 8 ათასი მანეთი შეადგინა.

შ. ტიტვინიძემ ტრესტის დირექტორს ი. ბოკერიას გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

გ. ერემოვი — იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გრიგოლ არტემის-ძე ერემოვმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ფილოსოფიური ფაკულტეტების გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის განვითარების ეტაპები“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ერემოვისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ოცნება ბედნიერებაზე

საერთოდ ქორეოგრაფიული ხელოვნების მოყვარულთა შორის საკმაო პოპულარობით და მოწონებით სარგებლობს მისი თვისებური სახე — ბალეტი ყინულზე. სულ რაღაც ხუთი-ექვსი წლის წინათ ჩვენი დედაქალაქის მაყურებლები არათუ განებივრებული არ იყვნენ ასეთი სანახაობით, არამედ, შეიძლება ითქვას, იგი უცხო ხილიც კი იყო მათთვის. ამას, ცხადია, ხელს უშლიდა სათანადო არენის უქონლობა.

უკანასკნელ წლებში, სპორტის სასახლის ამშენების შემდეგ, თბილისში გასტროლები ჰქონდა ყინულის ქორეოგრაფიის რამდენიმე ცნობილ კოლექტივს. მათ შორის იყვნენ როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთელი მსახიობები, ისე, რომ ჩვენი დედაქალაქის მაყურებელს დღეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკვე უფლება აქვს თავისი კომპეტენტური სიტყვა თქვას ხელოვნების ამ წარმტაცი სახეობის შეფასებისას.

ყინულის ბალეტის სახელგანთქმული ვენელი ოსტატები პირველად ხუსტად ამ ორი წლის წინათ, 1962 წლის მაისში იყვნენ ჩვენს დედაქალაქში. მათი მაშინდელი წარმოდგენა „ჯადოქარი და ჯადოსნური ვიოლინო“ ინტერესით მიიღო მაყურებელმა და ჯეროვანადაც შეაფასა.

მალე ვენელი ოსტატები მეორედ გვეწვევიან თბილისში. **6-დან 21 ივნისამდე სპორტის სასახლეში გაიმართება „აის-რევიუს“ სპექტაკლები „ოცნება ბედნიერებაზე“** ორ განყოფილებად. ეს იქნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ სახელოვანი კოლექტივის საიუბილეო გასტროლები. მას დაარსების 25 წლისთავი შეუსრულდა.

ახლანდელ გასტროლებთან დაკავშირებით გამოშვებულ სპეციალურ პროგრამა-ბუკლეტში ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რეჟისორი **ვილ პეტერი** წერს: „ყინულზე ბალეტის ვენის კოლექტივს არსებობის 25 წლისთავი შეუსრულდა. შემოქმედებითი მუშაობის ოცდახუთი წელი! მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჩვენ განუხრელად ვისწრაფოდით რამდენიმე საათის სიამოვნება მიგვენიშებინა ჩვენი მაყურებლისათვის მათს ყოველდღიურ ცხოვრებაში. წარმატებასაც მივაღწიეთ — ყოველწლიურად იზრდებოდა ჩვენი მეგობრების რიცხვი.

ვენის ბალეტის საიუბილეო სპექტაკლები თბილისში

დაე ჩვენმა ახალმა სპექტაკლმა „ოცნებამ ბედნიერებაზე“ გაგრძელოს ეს სახელოვანი ტრადიცია და სიამოვნება და სიხარული მოგიტანოთ თქვენ, ძვირფასო მაყურებლებო“.

საიუბილეო საგასტროლო სპექტაკლის საერთო ჩანაფიქრი და რეჟისურა ეკუთვნის **ვილ პეტერს,** მუსიკის ავტორია **რობერტ შტოლცი,** ქორეოგრაფი — **ედიტ პეტერი,** კოსტიუმების მხატვარია **პერდაგო,** დეკორაციები ეკუთვნის არქიტექტორ **ფელიქს სმეტანას.**

ანსამბლის სოლისტთა შორის ბევრია მსოფლიოს, ევროპის და ავსტრიის ჩემპიონები და რეკორდმენები ფიგურულ ციგურაობაში, ყინულის ქორეოგრაფიის ცნობილი ოსტატები. თბილისელ მაყურებელს თვიანთ ნატიფ ხელოვნებას უჩვენებენ მილენა, ხანანპელი, ფორნერები, ფელზინგერი, სიბლი, ლევინი, ვოლშლეგერი, ემანუელი, ანდერსენი, რუკა, შტაუფერი, ცრგა, პელიკანი, ვურსტი, კელი, ლორცინგი, ჰავარდები, ჩაპეი და სხვები.

სპექტაკლი „ოცნება ბედნიერებაზე“ ორი განყოფილებისაგან შედგება, პირველი „თილისმა“ („ოტელის წინ“, „ოტელის სადარბაზო ოთახში“, „კინოთეატლიერში“, „სილვიოს ოცნებანი“, „აის-რევიუ“), ხოლო მეორე „კატა“ („ხალხში“, „ცირკში“, „კულისებს მიღმა“, „ცირკის წინ“). სპექტაკლი მთავრდება დიდი ვალსით, რომელშიც ანსამბლის მთელი კოლექტივი მონაწილეობს.

გუშინ მოსკოვიდან თვითმფრინავ ტუ-104-ით თბილისში ჩამოვიდა „აის რევიუს“ მთელი დასი. ვენელ მსახიობთა დიდი ნაწილი პირველად ეესტუმრა ჩვენს დედაქალაქს. ყინულის ქორეოგრაფიის ვენელ ოსტატებს თბილისის აეროპორტში შეხვდნენ ფილარმონიისა და დედაქალაქის თეატრების მსახიობები, ჟურნალისტები. „აის რევიუს“ პირველი სპექტაკლი გაიმართება 6 ივნისს სპორტის სასახლეში. **სურათზე:** ვენის ბალეტის მსახიობები თბილისის აეროპორტში.

მკითხველის კალმით

□ **გორის** სარაიონო კულტურის სახლში, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა - მუზეუმმა მოაწყო პროფესორ ალექსანდრე სახანაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

ქართველი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა თ. ბეგიაშვილმა, დოცენტებმა შ. გოზალიშვილმა, ი. მაისურაძემ, თეატრმცოდნემ ს. ჭერსამიამ.

ფ. ჯანაშვილი.

□ **საჩხერის** რაიონის ხრეითის სასოფლო კლუბთან შეიქმნა ავიტმხატვრული ბრიგადა, რომელმაც მოაწყო გასვლითი საღამოები ბრიგადებსა და ფერმაში.

ვ. ცერცვაძე.

ენერგეტიკოსთა ახალმოსახლეობა

ბათუმი. (საკ. კორ.). კარგი საჩუქარი მიიღეს აბარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მუშაკებმა. ახლახან აქ სპეციალისტაციოდ გადაეცა საცხოვრებელი სახლი. ახალი კეთილმოწყობილი ბინები მიიღეს მუშამოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა, მათ შორის ელექტრომონტიორმა ა. ოგანეზოვმა, მძღოლმა რ. ბარშანიძემ, ინჟინერმა შარაშიძემ, ეძეთანმა ი. სირაბლიძემ და სხვ.

ფემთხვევა კონცერტზე

საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების მაყურებელთათვის კარგად ცნობილია საბჭოთა მოცეკვავის მამმუდ ესამბაევის შესანიშნავი ოსტატობა.

იგი დარბაზს ხიბლავს მოძრაობათა პლასტიკით, უდიდესი ტემპერამენტით, ცეკვით გადმოცემული სახეების დასრულებულობითა და დახვეწილობით. მამმუდ ესამბაევის ხელოვნება უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანებს, რომლებიც მის კონცერტებს ესწრებიან. მაგრამ ერთხელ ამ ხელოვნებამ მოახდინა... სამედიცინო ზემოქმედებაც. ეს ხერხონის თეატრში მოხდა. ხალხით სავსე დარბაზს ტაშის გრიალი აყრუებდა. აღტაცებული მიღებით ნასიამოვნებმა და გრძნობამორეულმა ესამბაევმა ხელი ასწია, და დარბაზში მყისვე სიჩუმე ჩამოვარდა. მსახიობი ლაპარაკობდა ხელოვნების დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც ხალხებს სხვადასხვა ეროვნების ხალხებს, განამტკიცებს მეგობრობისა და მშვიდობის სულისკვეთებას. და უცებ ზემო იარუსიდან გაისმა შეძახილი:

— მამმუდ, ხმა!

დარბაზში მსხდომნი აღშფოთებულნი აშიშინდნენ. შეძახილის აზრს თვითონ ესამბაევიც ვერ მიხვდა.

— არ ისმის? — იკითხა მან. — ახლავე გავიმეორებ...

და მხოლოდ კონცერტის შემდეგ გამოიკვლა რაშიც იყო საქმე. ზემო იარუსიდან ოერმე დაიყვირა ხერხონის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის სტუდენტმა ანატოლი ბარიგინმა, რომელიც თვითონ მამმუდს მიეწვია კონცერტზე.

ამ შემთხვევამდე ერთი კვირის წინ ანატოლი ბარიგინს ქუჩის გადასვლისას მოესმა მუხრუჭების მკვეთრი ღრჭიალი და ავტომობილის სირენის ხმა. ანატოლიმ ვერ მოასწრო გონს მოსულიყო, მხოლოდ დაინახა მისკენ ორი მხრიდან მიმქროლავი ავტომანქანები და ასფალტზე დაეცა.

საგრამ დაკავება არ მომხდარა: მანქანები დროზე გაჩერდნენ. ანატოლის მიეხმარნენ, ფეხზე წამოაყენეს, ტროტუარამდე მიიყვანეს. მაგლმის გადახდა უნდოდა, მაგრამ კონდენტიც ვერ დაძრა, ხმა წაერთვა. ექიმების ჩარევის მიუხედავად, მეტყველება არც შემდგომ დღეებში დაუბრუნდა.

სასწავლებლის სტუდენტებს ესტუმრა მამმუდ ესამბაევი. მან ილაპარაკა თავის შემოქმედებითს გზაზე, უპასუხა შეკითხვებზე. შეკითხვებს სიტყვიერად აძლევდნენ, მაგრამ ერთმა მსახიობს ბლოკნოტის ფურცელზე დაწერილი შეკითხვა გაუგზავნა. ასეთი „ბიუროკრატიზმით“ გაოცებული მამმუდი დაინტერესდა, თუ ვინ იყო ბარათის ავტორი და რათ ამჯობინა წერილობით მიემართა. ავტორი იყო ანატოლი ბარიგინი, რომლის ისტორია უამბეს ესამბაევს გამოსვლის დამთავრების შემდეგ. სწორედ მაშინ მიიპატიჟა მსახიობმა სტუდენტი თავის დასკვნთან კონცერტზე.

მთელ პროგრამას ანატოლი უყურებდა სულგანაბული, ხოლო უკანასკნელმა ცეკვამ ბრაწილიურმა „მაკუმბამ“ პირდაპირ განაცვიფრა. და აი მას უეცრად მეტყველება დაუბრუნდა. „მამმუდ, ხმა!“ — ეს იყო პირველი სიტყვები, რომლებიც მან უკანასკნელი 6 დღის მანძილზე წარმოთქვა.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა დანიელ პრონინმა კომენტარი გაუკეთა იმას, რაც ბარიგინს შემეთხვა, და თქვა:

— ანატოლი ბარიგინის შემთხვევაში არაფერია ბუნების საწინააღმდეგო. დიდი მსახიობის ხელოვნებამ ემოციურ ჭაბუკს კვლავ განაცდევინა უდიდესი დაძაბვა და შეწყვიტა ფუნქციური აფონიის შეტევა.

ვსევოლოდ ვედინი,

უნგრელი გოუეგი თელავში

თელავი. (საკ. კორ.). თელავს ესტუმრა ქალაქ იაროსლავლის ფილარმონიის უნგრელი ბოშების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. კონცერტს, რომელიც ს. ორჯონიკიძის სახელობის თელავის თეატრში გაიმართა, დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

ანსამბლმა შეასრულა უნგრული სიმღერები, ძველი ბოშური სიმღერები დარომანსსები, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები, ბოშური ცეკვები და სხვ.

საერთო მოწონება ხვდა შვიდი წლის ზემფირა ვეშნეესკაიას გამოსვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

ოფიციალური ცხრილი

მოგებათა 99-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1964 წლის 30 მაისს ქალაქ დონის როსტოვში.

მოგება ხვდა სესხის ჩვიდმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000237	06*)	500	037553	08*)	2.500	070455	48*)	500
000888	1—50	40	038971	1—50	40	070698	26*)	1.000
001226	42*)	500	040235	1—50	40	071094	1—50	40
001805	23*)	1.000	040547	46*)	500	071221	1—50	40
002951	50*)	1.000	041142	1—50	40	071280	1—50	40
005677	39*)	500	041448	06*)	1.000	071308	1—50	100
006510	36*)	1.000	041670	1—50	40	071865	37*)	500
006652	1—50	40	042639	30*)	500	072455	40*)	500
007631	13*)	500	042825	1—50	100	072874	21*)	1.000
007720	1—50	40	042928	42*)	500	074219	22*)	1.000
008648	49*)	1.000	043873	21*)	500	074223	12*)	500
008668	08*)	500	044314	26*)	500	074225	50*)	500
009073	49*)	500	044836	31*)	500	074317	1—50	40
009177	25*)	5.000	045313	35*)	500	074392	1—50	100
009582	25*)	500	045477	17*)	1.000	075107	1—50	40
010046	1—50	40	046987	07*)	500	075353	12*)	1.000
010621	45*)	500	047856	15*)	500	076379	1—50	100
011227	1—50	100	047914	27*)	500	077554	06*)	500
011658	25*)	500	049008	1—50	40	077745	1—50	100
011903	1—50	40	049069	21*)	500	077808	41*)	500
012065	13*)	500	049312	1—50	40	078055	1—50	100
013004	1—50	40	049520	1—50	40	078058	01*)	500
013010	1—50	40	049795	47*)	500	078164	1—50	100
013487	1—50	40	050705	1—50	100	078301	1—50	40
013523	1—50	40	050816	26*)	500	079808	25*)	2.500
014008	21*)	500	051034	39*)	500	079945	1—50	40
014422	36*)	5.000	051199	24*)	500	080187	05*)	500
014936	30*)	500	051250	1—50	40	082617	22*)	500
015819	15*)	1.000	051774	08*)	500	082666	27*)	1.000
019007	1—50	40	053225	50*)	500	082953	30*)	500
019722	10*)	500	053275	36*)	500	083048	1—50	40
019755	50*)	1.000	054181	1—50	40	084057	24*)	500
020283	1—50	40	055220	26*)	500	084220	38*)	500
020328	28*)	500	055267	25*)	1.000	084365	45*)	1.000
021061	1—50	40	055503	1—50	40	085795	1—50	40
021478	20*)	500	055508	18*)	500	085942	11*)	500
021541	1—50	40	056577	1—50	100	086101	07*)	1.000
022289	22*)	500	057911	11*)	500	086495	40*)	500
022334	1—50	100	058023	1—50	40	087201	1—50	40
022510	14*)	500	058373	42*)	500	087406	27*)	500
022564	1—50	40	058701	11*)	500	089131	03*)	500
022774	13*)	500	059856	1—50	40	090716	21*)	500
024021	14*)	1.000	060173	47*)	2.500	091338	01*)	500
025988	31*)	1.000	060380	12*)	500	091424	19*)	500
026524	24*)	1.000	061148	24*)	500	091552	07*)	500
027078	1—50	40	061506	16*)	500	092879	17*)	500
028273	1—50	100	064273	03*)	1.000	093666	43*)	2.500
028696	48*)	500	065451	45*)	500	093985	1—50	100
029675	15*)	500	065848	36*)	1.000	094638	1—50	100
030314	1—50	40	066607	15*)	2.500	096351	41*)	500
030673	23*)	1.000	067928	49*)	1.000	096593	44*)	500
031151	30*)	500	068118	16*)	500	096725	37*)	500
031866	48*)	500	069320	1—50	40	097565	22*)	500
032912	1—50	40	069351	29*)	500	098130	1—50	40
036014	35*)	500	069852	36*)	500	098612	1—50	40
036070	19*)	500	070213	1—50	40	099776	1—50	40
036677	35*)	1.000	070325	21*)	1.000			

* ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება თვითეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცდათეთრიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათი მანეთის ღირებულების ობლიგაციაზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციების ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც შემნახველი სალაროები აწარმოებენ მოგებათა გაცემას დადგენილი წესით გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — როსტოვის მშრომელთა დეპუტატების საოლქო სამრეწველო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ე. პ. ბელოდედი,

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ა. ვასილიევა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრი

5 ივნისი

ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრავიატა, **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ადამიანი იბადება ერთხელ (მე-20 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — კოსხელი მოიპარეს (მე-20 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — მაშენკა (მე-12 აბონ. მე-10 წარმოდგენა), **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — შესანიშნავი სამეული, **სანკულტურის** — სახელგატეხილები, **ფილარმონიის საზაფხულო** — საესტრადო ანსამბლი „აზერბაიჯანული მელოდიები“, **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

ტელევიზია

6 ივნისი

18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — „ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.25 — „მოვიაროთ მშობლიური მხარე“, 18.55 — კინონარკვევი — „დილა მშვიდობისა, „სმოლენსკო!“, 19.05 — გადაცემა ციკლიდან — „იცით თუ არა?“, 19.20 — გადაცემა — „გლინკას ცხოვრების საღამო“, 20.10 — სატირულ-იუმორისტული კინოჟურნალი „ფიტილი“ № 20, 20.20 — გადაცემა „ქალაქი რიონის შესართავთან“, 21.40 — ახალი ამბები, 21.55 — საესტრადო კონცერტი ციკლიდან — „საბჭოთა საესტრადო მუსიკა“.

მონადირეთა საყურადღებოდ!

1964 წ. 6-7 ივნისს საქ. მონკავშირის გამეობის პრეზიდიუმი სასროლო სტენდზე (ი. ჭავჭავაძის ბრ., № 75, ტელ. 2-42-82) **აწყობს საქართველოს ყველა ჯიშის სანადირო და ოთახის ძაღლების XXX რესპუბლიკურ**

გამოფენას

ძაღლების რეგისტრაცია იწარმოებს მონკავშირის შენობაში (სულხან-საბას ქ. № 2. ტელ. 3-39-01) ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

მონკავშირი

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

კონკურსი გრძელდება

ჩვენი გაზეთის საჭადრაკო კონკურსმა ქალთათვის ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჭადრაკის მოყვარულთა შორის. განვლილმა ორმა ტურმა, რომლებიც აპრილსა და მაისში გამოქვეყნდა, გამოავლინა ლიდერები.

დღეს ვაქვეყნებთ კონკურსის მესამე ტურის დავალებას — ამოცანასა და ეტიუდს. მოგაგონებთ, რომ ამოცანის ამოხსნაში ნაჩვენები უნდა იყოს პირველი სამი სვლა, ეტიუდში კი — ძირითადი ვარიანტი ბოლომდე. ამოცანის სწორი ამოხსნისათვის დაწესებულია 4 ქულა, ეტიუდში — 5 ქულა.

ამოცანა № 5



თეორები: მფa6, კc1, კc2 (3); **შავები:** მფa1, აა: a2, a7, c3 (4).

შამათი ოთხ სვლაში

ეტიუდი № 1



თეორები: მფc2, ლa1, მd4 მe4 (4); **შავები:** მფe3, ლa8, აა: a2, a3, b6, d6 (6).

თეორები იწყებენ და იგებენ

ჩვენ უკვე ვიუწყებდით საბჭოთა კავშირში უნგრელ ხელბურთელთა ტურნეს პირველი მატჩების შესახებ თბილისში. გუშინ შეტოქეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ამჯერად კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე. მაგრამ როლები შეცვალეს — დამარცხებულებმა რევანში აიღეს.

მოსკოვის „ტრუდის“ ქალთა გუნდის თამაში გუშინ უფრო მრავალმხრივი, შემტევი და მიზანსწრაფული იყო. მთ მოიგეს ბრძოლის პირველი ნახევარი 6 : 4, ასეთივე ანგარიშით დაამთავრეს მეორე ტაიმი და გაიმარჯვეს 12 : 8.

ყურადღებას იპყრობდა უნგრეთისა და საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები ბეგუნდების პაექრობა. პირველი ნახევრის ბოლო წუთებში უნგრელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და მოიგეს ტაიმი 12 : 7.

მოსალოდნელი იყო, რომ მეორე ნახევარში საქართველოს ხელბურთელები შეძლებდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს. უნგრეთის ნაკრებმა რევანში აიღო, გაიმარჯვა ანგარიშით 20 : 16.

ქალთა ოლიმპიადა

მეტოკაევგმა როლები შეცვალეს

ლიდერის ქვალდაქვალ

გუშინ ამსტერდამის საზონათაშორისო საჭადრაკო ტურნირზე მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

შტეინმა მოუგო ბენკოს, როსეტომ — ვრანეშის, ლენდიელმა — ტრინგოს. ბრონშტეინ-ბენკოს პარტია ყაიმით დამთავრდა. წინა ღამით სმისლოვმა დაამარცხა პორატი. მეთერთმეტე ტურში ყაიმით დაამთავრა პარტია დარგასთან.

12 ტურის შემდეგ ლარსენს 9,5 ქულა აქვს. სპასკის, ტალსა და ბრონშტეინს — 9 ქულა თვითეულს.

ფეხბურთი

ფეხბურთის მოედნებზე

გუშინ შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩები ფეხბურთში.

ლუგანსკში ადგილობრივი „ზარია“ დამარცხდა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან 1:2.

დონეცკი „შახტიორმა“ გროზნოში მოუგო „თერგს“ 2:1.

ბაკოს „ხეფტიანიკის“ ფეხბურთელებმა დაამთავრეს ტურნე რუმინეთში. უკანასკნელი მატჩი ... „ლონდონ პლოეშტის „პეტროლულთან“ და დამარცხდნენ 1:4 (0:1). ოთხივე გოლის ავტორი „პეტროლულიდან“ იყო ცენტრფორვარდი დრიდია.

ბრაზილიაში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. მორიგ ტურში მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიის გუნდი შეხვდა არგენტინის ნაკრებს. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელთა რიგებში იყო ყველა ვირსკვლავი, მათ დამარცხება განიცადეს 0:3. არგენტინელები 4 ქულით ლიდერობას ინარჩუნებენ.

ვენის ბალეტი

ოცნება ბედნიერებაზე

ქირურგიული ოპერაციების დროს ტკივილის შეგრძნების ნეიტრალიზებას ჩვეულებრივად ნარკოზით აღწევენ. საერთო ნარკოზისათვის ერთადერთი პრეპარატი დიდხანს ქლოროფორმი იყო. შემდეგ დაიწყეს მისი შეცვლა ნაკლებად მავნე ეთერით ან უანგბადისა და აზოტის ქვეჟანგის ნარევით. მაგრამ ქიმიკოსთა ძიება ამით არ დამთავრებულა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნიკოლოზ ზელინსკის სახელობის ორგანული ქიმიის ინსტიტუტში აკადემიკოს ბორის კაზანსკის ხელმძღვანელობით შეიმუშავეს ციკლოპროპანის ბიძების მეთოდიკა. ახალი ამბების საავტორო კორესპონდენტმა აკადემიკოს კაზანსკის მიმართა თხოვნით — ეამბნა ამ საანესთეზიო პრეპარატზე.

— ნარკოზს, — ამბობს მეცნიერი, — ბევრი ნაკლი აქვს. ცუდი განწყობილება, პირის ღებინება ყველაზე ხშირი მოვლენებია ნარკოზის შემდეგ. ქირურგებისაგან ზოგჯერ შეიძლება გაიგონოთ: „იძულებული გავხდი ადგილობრივი ნარკოზი გამეკეთებინა, საერთო ნარკოზს პაციენტი ვერ აიტანდა“. თანაც საერთო ნარკოზი ფრიად გამოცდილ სპეციალისტს მოითხოვს. ციკლოპროპანს არც ერთი ეს ნაკლი არა აქვს.

უანგბადთან და აზოტის ქვეჟანგთან ციკლოპროპანის ნარევის უბრალო შესუნთქვას შეუძლია მხოლოდ მსუბუქი თავბრუსხვევა გამოიწვიოს. მაგრამ საკმარისია ავადმყოფს მცირე დოზით მისცეთ ბარბიტურატი ან ყოველი სხვა დასაძინებელი საშუალება, ხოლო შემდეგ ხორხში შეუყვანოთ მილი, რომლითაც ნარევს აწვდიან, რომ ავადმყოფმა დაიძინოს იმდენ ხანს, რაც ქირურგისათვის არის საჭირო.

ექიმები, რომლებიც ანესთეზიაზე მუშაობენ, იცნობენ ოპერაციის შემდეგ „აცვიენტის „გაღვიძების“ სიძნელეებს. მას შემდეგ, რაც ოპერაციაგადებული პაციენტი გაიღვიძებს, მის საწოლთან კიდევ დიდხანს ზის მედიცინის და. ციკლოპროპანის გამოყენებისას კი სხვა მდგომარეობაა. შეწყდება თუ არა ნარევის მიწოდება, ავადმყოფი მაშინვე თვალს ახელს.

ციკლოპროპანის როლი კიდევ უფრო იზრდება გაუმტკივნეულობის ახალი დარგის — სასწრაფო ანესთეზიოლოგიის წარმოშობასთან დაკავშირებით. წარმოიდგინეთ უბედური შემთხვევა, როცა ქირურგმა ერთდროულად უნდა გაუწიოს დახმარება ბევრ ადამიანს, ხოლო იმ ექიმმა, რომელიც ანესთეზიაზე მუშაობს, თვითეული მალე უნდა „დაეძინოს“ და „გაეღვიძოს“. ციკლოპროპანს აქ ვერაფერი ვერ შეცვლის.

მაგრამ მისი მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი სრულიად უვნებელია. როგორც ცნობილია, ღვიძლის, გულსისხლძარღვების დაავადებისას ყოველთვის როდი იყენებდნენ საერთო ნარკოზს, ხოლო ისეთი ავადმყოფი, რომლისთვისაც ციკლოპროპანის მიცემა არ შეიძლებოდეს, პრაქტიკულად არ არსებობს. ნარკოზის შემდეგ არავითარი გართულება არ ხდება — ავადმყოფს არც გულის რევა აქვს და არც ცუდი განწყობილება.

პრეპარატმა წარმატებით გაიარა კლინიკური გამოცდა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტალური ონკოლოგიის ინსტიტუტსა და გულ-სისხლძარღვების დაავადებათა ინსტიტუტში. ამას წინათ ამშუავდა პატარა საცდელი საამქრო კუზბასის სახალხო მეურნეობის საბჭოს ქიმიურ ქარხანაში. ნავარაუდევია, რომ აქ მალე აშენდება ციკლოპროპანის დიდი საამქრო. (აას).

ეკონომიკური ფრონტი